ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 23 მარტი, 2016 №69 (6995) ფასი: 50 თეთრი

23 მარტიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
თომას კენილი
შინდლერის სია

„შინდლერის სია“ ავსტრიელი ფაბრიკის მფლობელის, ნაცისტური პარტიის წევრ ოსკარ შინდლერის ნამდვილი ისტორიაა, რომელმაც უდიდესი რისკისა და თანხის ფასად თავის ქარხნებში მომუშავე ათასზე მეტი გეტოელი ებრაელი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

სტივენ სპილბერგის მიერ 1993 წელს გადაღებულმა მრავალი ოსკარის მფლობელმა ფილმმა „შინდლერის სიამ“ არაადამიანურ სისტემასთან ფარულად მებრძოლი ოსკარ შინდლერი მთელ მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა.




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# „ტერაქტებისთვის საქართველოც მზად უნდა იყოს“

## ზაალ კასრელიშვილი: „მაისიდან რთული პერიოდი დაიწყება“




გვ.2




## ბრიუსელის ტერაქტები ისლამურმა სახელმწიფომ მოაწყო




გვ.8






## სააკაშვილის ცოლ-შვილი და ქართველი დეპუტატები ბრიუსელის ტერაქტს გადაურჩნენ



გვ.3





გვ.5

## რამაზ საყვარელიძე: „ფარული მასალების გამავრცელებლის ლოგიკა გაუგებარია“

## გიორგი თავდგირიძე: „საქართველოში ამერიკული ასეული შემოდის“

„მკაცრი განცხადებები რუსეთის წინააღმდეგ ლეგიტიმურია“

გვ.4



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ტერაქტებისთვის საქართველოც მზად უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი



## ზაალ კასრელიშვილი: „მაისიდან რთული პერიოდი დაიწყება“

**გახდება თუ არა საქართველო ტერორისტების სამიზნე, რა გველოდება შემოდგომაზე, რა მეთოდებს გამოიყენებენ რუსული სპეცსამსახურები, რა შეცდომები დაუშვა ევროპამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

– ძალიან ცუდი დრო დადგა, როცა არცერთი ქვეყანა არაფრისგან დაზღვეული არ არის. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გამართლდა ის პროგნოზი, რომელიც რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში გავაკეთე. ჯერ კიდევ პარიზის ტერაქტებამდე ვამბობდი, რომ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები ევროპის ქვეყნებში გადაინაცვლებდნენ.

არსებული ინფორმაციით, ისლამური სახელმწიფოს 4.000-მდე მებრძოლი ევროპის ტერიტორიაზეა და თავის დროს ელოდებიან. 22 მარტს მათი სამიზნე ბელგია გახდა. ვისი ჯერი იქნება ხვალ, ეს არავინ იცის.

***– საქართველო რამდენად არის დაცული ამ საფრთხეებისგან?***

– სამწუხაროდ, საქართველო არაფრისგან დაცული არ არის. წინა ინტერვიუშიც გითხარით, ჩვენი ქვეყანა ისლამისტების სამიზნე რომ არ გახდა, ეს თარხან ბათირაშვილის დამსახურებაცაა. კარგად მუშაობენ ჩვენი სპეცსამსახურები, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტი უნდა იმუშაონ. საქართველოს გარშემო რკალი ნელ-ნელა ვიწროვდება.

ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულმა ოპერაციამ შედეგი ვერ გამოიღო, ისლამისტები ვერ გაანადგურეს. ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად დაიშალნენ და სხვადასხვა ქვეყანაში გადავიდნენ. საქართველოში მოხვედრა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ამიტომაც მაქსიმალური ყურადღება და უსაფრთხოების ზომების უკიდურესად გამკაცრებაა საჭირო.

***– ბრიუსელის ტერაქტის შემდეგ მშობლიურმა სუს-მა გაავრცელა განცხადება, რომ საზღვრებზე და აეროპორტებში კონტროლი გამკაცრებულია. ეს საკმარისი არ არის?***

– კონტროლი რომ გაამკაცრეს, ძალიან კარგია, მაგრამ მარტო გამკაცრება საქმეს ვერ უშველის. უსაფრთხოების ზომები ბრიუსელის აეროპორტშიც მიღებული ჰქონდათ, მაგრამ ტრაგედია თავიდან ვერ აიცილეს. ევროპელებს უსაფრთხოების დაცვის საკითხებში სერიოზულად ჩამოვუვარდებით, მაგრამ მათთან შედარებით სერიოზულ უპირატესობას ვფლობთ.

***– რა უპირატესობაზე საუბრობთ?***

– ევროპაში ლიბერალიზმია გამეფებული და ადამიანის უფლებების დაცვას დიდ ყურადღებას აქცევენ. სპეცსამსახურებს ძალიან უჭირთ იმ ადამიანებზე თვალთვალის დაწესება, რომლებიც რაღაცაში ჰყავთ შემჩნეული. იმისთვის, რომ სპეცსამსახურებმა მათი თვალთვალი დაიწყონ, სასამართლოს ნებართვაა საჭირო. სასამართლო ნებართვას მანამდე არ გასცემს, სანამ პირის დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთებს არ წარუდგენ. ამას დრო სჭირდება, ამ დროში კი შეიძლება იმ პირმა ტერაქტი მოაწყოს.

ჩვენთან ასეთი ნებართვის მოპოვება გაცილებით მარტივია და უფრო მარტივად შეიძლება საეჭვო პირების გაკონტროლება.

***– ეს საეჭვო პირები საქართველოში უკვე შემოსული არიან?***

– როდის არ იყვნენ საქართველოში საეჭვო პირები? აქაურობა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წარმომადგენლებით არის სავსე. ახლა მთელი ყურადღება ისლამისტ მებრძოლებზეა გადატანილი. საქართველოს კი შესაძლოა საფრთხე სხვა მხრიდან დაემუქროს.

რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება წყალქვეშა რეჟიმში გადავიდა. იმის გამო, რომ ორივე ძლიერი ქვეყანაა, ისინი ერთმანეთს პირისპირ არ შეებრძოლებიან. მათ საქმეში სპეცსამსახურები ჩართეს. თურქული მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში ახდენს ისლამისტების პროვოცირებას, ხოლო რუსები ქურთების კოზირს ათამაშებენ, თან ბოლომდე.

ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს სკოლაში გეოგრაფია ნასწავლი არ აქვთ. მათ შევახსენებთ, რომ თურქეთი და რუსეთი საქართველოს გარშემო მდებარეობენ. ამ ქვეყნების ომსაც თუ გავიხსენებთ, მაშინ სწორედ კავკასიის ფრონტმა გადაწყვიტა რუსეთის გამარჯვების საკითხი. ქართველი თავადაზნაურობა მაშინ რუსეთს დაეხმარა აფხაზეთისა და აჭარის დაბრუნების სანაცვლოდ. ჩვენ წავართვით მაშინ თურქებს აფხაზეთი და აჭარა.

***– იმის თქმა გინდათ, რომ საფრთხეებს რუსეთისა და თურქეთის სპეცსამსახურებისგან უნდა ველოდოთ?***

– ტერაქტები შეიძლება არ მოგვიწყონ, მაგრამ თავიანთი ინტერესების გატარებას შეეცდებიან. თავიანთი ინტერესები აქვთ რადიკალ ისლამისტებს. იმისთვის, რომ ევროპაზე ზეწოლის წვდომა ჰქონდეთ, აუცილებელია, კავკასიაში ზურგი ძლიერი ჰყავდეთ.

საქართველოს სპეცსამსახურები კარგად მუშაობენ, მაგრამ სადღაც მაისისთვის კიდევ უნდა გააქტიურდნენ. ტერაქტების ალბათობა ერთიათად იზრდება.

მოსალოდნელი საფრთხეებიდან გამომდინარე, კრიზისების მართვის ცენტრის ხელმძღვანელის პოსტიდან სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს მინდია ჯანელიძე. მის ადგილზე მაღალკვალიფიციური პროფესიონალი უნდა დანიშნონ, რომელიც კრიზისების მართვის ბაზაზე აზერბაიჯანთან ერთად შექმნის რეგიონული უსაფრთხოების მართვის საკოორდინაციო ცენტრს.

***– აზერბაიჯანთან ერთად რატომ უნდა შეიქმნას ეს ცენტრი?***

– იმიტომ, რომ კავკასიაში ისლამისტების სამიზნეს საქართველო და აზერბაიჯანი წარმოადგენენ. ჩვენი გავლით მოსკოვისთვის არასასურველ მებრძოლებს რუსეთში შეუძლიათ გადასვლა, ისევე, როგორც ანკარისთვის მიუღებელი ხალხი მოხვდება თურქეთში.

***– ჩვენს მეზობელ სომხეთზე რას იტყვით, მათთან ერთად რატომ არ შეგვიძლია ერთობლივი ცენტრის შექმნა?***

– სომხეთი გადაქცეულია რუსეთის სამხედრო ბაზად. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ სწორედ გიუმრის სამხედრო ბაზიდან შედის იარაღი ამბოხებული ქურთების დასახმარებლად. სომხეთთანაც შეიძლება თანამშრომლობა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ კავკასიის ხერხემალი ფოთი-ბაქოა.

აზერბაიჯანისა და საქართველოს საკოორდინაციო ცენტრში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ამერიკისა და ისრაელის წარმომადგენლობები.

***– ზემოთ თურქეთისა და რუსეთის სპეცსამსახურებზე ისაუბრეთ. თქვენი აზრით, არის თუ არა ამ საფრთხეებთან კავშირში რუს დიპლომატ კარასინის მუქარანარევი განცხადება?***

– კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სახელით ვაცხადებ, რომ კარასინის განცხადება იყო გეგმის პრეზენტაცია. ამ განცხადების უკან დგას ძალიან სერიოზული კონცეფცია.

***– რაში მდგომარეობს ეს კონცეფცია?***

– ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნები, შესაძლოა, საპროტესტო აქციების გასამართად გამოიყენონ. ეს იმ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გიორგი კვირიკაშვილი: „საქართველო ყოველთვის იქნება ბელორუსის სანდო პარტნიორი“



საქართველო-ბელორუსის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა 2016 წლის სექტემბერში თბილისში გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, აღნიშნული შეთანხმება საქართველოსა და ბელორუსის მთავრობის წევრების გაფართოებულ შეხვედრაზე შედგა.

ბელორუსისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრებმა მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

როგორც ბელორუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ანდრეი კობიაკოვმა აღნიშნა, გასულ წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 45 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც არასაკმარისია.

– ჩვენი მიზანია, სავაჭრო ბრუნვა ჩვენს ქვეყნებს შორის 200 მილიონ აშშ დოლარამდე გავზარდოთ, რაც ორივე მხარის ინტერესებში შედის. იქამდე კი, ჩვენ ამისთვის აუცილებლად მივიჩნევთ წარმოების განვითარებას და თანამშრომლობას აღნიშნული მიმართულებით, – განაცხადა ანდრეი კობიაკოვმა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ქართული და ბელორუსული მხარეები ერთობლივად განახორციელებენ.

ბელორუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მხარეები ასევე მიესალმებიან ბელორუსის დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნას თბილისში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბელორუს კოლეგას მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველო ყოველთვის იქნება ბელორუსის სანდო პარტნიორი.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ, სოფლის მეურნეობის, საინვესტიციო და სხვა სფეროებში. ასევე, ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მაღალი დონის ვიზიტების ურთიერთგაცვლის მნიშვნელობას, სამართლებრივი ბაზის განვითარების, კულტურისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობას; გამოითქვა მზადყოფნა საერთაშორისო ორგანიზაციებში მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებისთვის.

– ჩვენს ქვეყნებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო გასაფართოებლად. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია საქართველო-ბელორუსის მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისია, რომლის მორიგი სხდომის გამართვა დაგეგმილია 2016 წელს თბილისში. კომისიის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის: სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ჩვენ განვიხილეთ ჩვენი ქვეყნებისათვის საინტერესო საკითხები და დავსახეთ თანამშრომლობის გაღრმავებისა და ურთიერთობის განმტკიცების გზები, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და ბელორუს კოლეგას სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარებისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, საუბარი ასევე შეეხო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას და აბრეშუმის გზის ინიციატივას; დაისახა ამ პროცესში საქართველოსა და ბელორუსის უფრო აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის გზები.

გიორგი კვირიკაშვილმა ბელორუსი კოლეგა საქართველოში მიიწვია და იმედი გამოთქვა, რომ მინსკში დაწყებული საინტერესო დიალოგი თბილისში გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ბათუ ქუთელია: „საქართველო არ არის ISIS-სგან მომავალი მყისიერი საფრთხეების სიაში“

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცეპრეზიდენტ ბათუ ქუთელიას აზრით, ტერორისტულ საფრთხეებთან გასამკლავებლად ევროპამ საკუთარ მიდგომებს უნდა გადახედოს.

ბათუ ქუთელია „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, რომ რაც ბრიუსელში მოხდა, პარიზის ტერაქტების გაგრძელებაა და ამაზე რეაგირება ჯერ დროს მოითხოვს.



**ბათუ ქუთელია:**

– ევროპისთვის მნიშვნელოვანი იქნება ამ ორი ტერაქტის ერთიან კონტექსტში გაანალიზება და ახალი მეთოდების შემუშავება. ეს არის ამოსავალი წერტილი ევროპის უსაფრთხოებისთვის. ბევრი მიდგომა, ალბათ, უნდა გადაიხედოს, ვგულისხმობ ევროპის მიდგომას სირიის კრიზისთან დაკავშირებით, ზოგადად, ტერორისტულ ორგანიზაციებთან და მათთან დაკავშირებულ სახელმწიფოებთან მიმართებაში. ასეთი კომპლექსური მიდგომის შედეგად, დარწმუნებული ვარ, რომ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საფრთხეები. ეს მეტ-ნაკლები წარმატებით მოახერხა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის ტერიტორიაზე, თუმცა ტერორისტული ტაქტიკაც იცვლება და ბუნებრივია, ცივილიზებულ სამყარო მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს.

რაც შეეხება საქართველოს, უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილის აზრით, ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის ბერკეტები, რაც გვაქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან და თუ სახელმწიფოებთან, მათ შორის, ევროკავშირთან და ნატოსთან სპეციალური კონსულტაციების მექანიზმი, რათა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივიღოთ პოტენციურ საფრთხეებზე.

– ასევე საჭიროა სპეცსამსახურების თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან, რათა გაიცვალოს ინფორმაცია იმ ინდივიდებზე, რომლებიც საზღვარს კვეთენ. რისკ-ჯგუფების გამოვლენით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ის მყისიერი საფრთხე, რაც ასეთი ტიპის ტერორისტულ აქტებს შეიძლება მოჰყვეს. თუმცა, ჩემი აზრით, დღევანდელი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველო არ არისISIS-ის მთავარი მიზანი. პირველადი, მყისიერი საფრთხეების სიაში საქართველო არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა არ უნდა დაიწყონ აქტიური მუშაობა იმისთვის, რომ ასეთი რამე მომავალში გამოირიცხოს, – აცხადებს ბათუ ქუთელია.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილის ცოლ-შვილი და ქართველი დეპუტატები ბრიუსელის ტერაქტს გადაურჩნენ

შორენა მარსაგიშვილი

**ბელგიის დედაქალაქში ტერაქტები ქართველი დეპუტატების სიახლოვეს მოხდა. ევროპარლამენტის ახლოს მაშინ მოხდა აფეთქება, როცა საქართველოს დელეგაციის წევრები საქმიან შეხვედრებს მართავდნენ.**



საქართველოს პარლამენტის დელეგაცია 12 წევრისგან შედგება. დელეგაციაში პარლამენტის აპარატის წევრებიც არიან.

ბელგიაში ოფიციალური ვიზიტით ვიქტორ დოლიძე, ფრიდონ საყვარელიძე, გია ჟორჟოლიანი, გიორგი ჟვანია, ანი მიროტაძე, გიორგი ვოლსკი, ეკა ბესელია, გუგული მაღრაძე, დავით დარჩიაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ლევან თარხნიშვილი, გიორგი კანდელაკი და თინათინ ბოკუჩავა იმყოფებიან.

ჟურნალისტები ქართული დელეგაციის წევრებს ტერაქტიდან მოკლე ხანში დაუკავშირდნენ.

– სამუშაო შეხვედრები ევროპარლამენტში მიმდინარეობს. შენობა არის ახლოს მეტროსადგურის ტერიტორიასთან, სადაც ცოტა ხნის წინ აფეთქება მოხდა. დაძაბულობა იგრძნობა. ქალაქში ძალიან ცოტა ადამიანი მოძრაობს, გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები. აეროპორტი დაკეტილია. ხვალ უნდა დაბრუნდეს საქართველოს დელეგაცია საქართველოში ბრიუსელის აეროპორტის გავლით, მაგრამ ფრენა შეწყვეტილია და, ალბათ, საელჩო მოგვიანებით დააზუსტებს ინფორმაციას, როგორ მოვახერხებთ დაბრუნებას, – განაცხადა ტერაქტიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ეკა ბესელიამ.

ჩვენი დეპუტატები საქართველოში დღეს, 23 მარტს უნდა დაბრუნდნენ. იმის გამო რომ ბრიუსელის აეროპორტი დაიხურა, უცნობია, როგორ ან როდის შეძლებენ ისინი თბილისში დაბრუნებას.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ორგანიზებით ბრიუსელში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები იმყოფებიან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ვიზიტის ორგანიზატორებს დაუკავშირდა და ქართველი პოლიტიკოსების მდგომარეობისა და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია მიიღო. მათი ცნობით, დელეგაციის წევრები უსაფრთხოდ არიან.

ბრიუსელში მომხდარი ტერაქტი ირიბად შეეხო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოჯახსაც.



– ჩემი ცოლ-შვილი 22 მარტის დილით, ტერორისტულ თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე, ბრიუსელის აეროპორტში იმყოფებოდა. როდესაც ეს ტრაგედია მოხდა, მე უკვე ვიცოდი, რომ მათ გამგზავრება მოასწრეს, მაგრამ გამახსენდა ის ადამიანები და მათი ახლობლები, ვინც ვერ დააღწია თავი ამ საშინელ ტრაგედიას. სამწუხაროდ, ეს არ არის, ალბათ, ბოლო შემთხვევა, მიზეზი კი, უნდა ვაღიაროთ, რომ არის ბევრი ბიუროკრატია და უუნარობა, რათა მიღებულ იქნეს მკაცრი გადაწყვეტილებები. – წერს მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

* * *

ბრიუსელში მომხდარ ტერაქტებს არც საქართველოს სხვა მოქალაქეები დაუზარალებია.

– ამ ეტაპზე ბელგიელ სამართალდამცავებს დაღუპულთა იდენტიფიცირება ბოლომდე არ მოუხდენიათ. ამ ეტაპზე არსებულ დაზარალებულთა სიაში საქართველოს მოქალაქეები არ არიან, – აღნიშნა ნიუპოსტთან საუბარში ბელგიაში საქართველოს კონსულმა რუსუდან დიდებულიძემ.

კონსულის ინფორმაციით, აეროპორტში, სადაც თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა, ბოლო ინფორმაციით, საქართველოს 2 მოქალაქე იმყოფებოდა. ორივე მათგანი თავს კარგად გრძნობს.

რაც შეეხება ბრიუსელში არსებულ ვითარებას, კონსულის თქმით, ქალაქი პარალიზებულია.

– არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პოლიცია და ყველა სამედიცინო დაწესებულება საგანგებო რეჟიმში მუშაობს. ვურჩევ საქართველოს მოქალაქეებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე და დარჩნენ სახლებში, – აღნიშნა რუსუდან დიდებულიძემ.

# „ტერაქტებისთვის საქართველოც მზად უნდა იყოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე




შემთხვევაში მოხდება, თუ არჩევნებს მათთვის სასურველი ძალები არ მოიგებენ.

***– თქვენ თვლით, რომ პრორუსული ძალების მხარდასაჭერად ვინმე ქუჩაში გამოვა?***

– მათ მხარდასაჭერად არავინ გამოვა ქუჩაში და არც რუსები შეეცდებიან ამის გაკეთებას. არჩევნებზე ბევრი პარტია ვერ გადალახავს ბარიერს. არცერთი პარტია არ იტყვის, რომ არჩევნები ურეიტინგობის გამო წააგო. ყველა იტყვის, რომ არჩევნები გაუყალბეს. პარლამენტს მიღმა დარჩენილები ხელს ხელისუფლებისკენ გაიშვერენ და გაერთიანდებიან.

***– ეს პარტიები ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ და ასე მარტივად მოახერხებენ გაერთიანებას?***

– არჩევნების გაყალბება ის თემაა, რომელიც ბევრ ძალას აერთიანებს. ეს 2003 წელს უკვე ვნახეთ. თავიდან იქნება მოტივაცია პროტესტისთვის, მერე იქნება გაერთიანება და გარედან მხარდაჭერა. პროტესტის მოტივაციები საქართველოში უკვე გაჩნდა, რომლის გარშემოც შესაძლოა არჩევნებამდე მოხდეს გაერთიანება.

***– რა მოტივაციაზე საუბრობთ?***

– ერთსქესიანთა ქორწინების შესაძლო დაკანონება და ლგბტ პირების უფლებების დაცვაზე გადაჭარბებული ყურადღების გამახვილება. ეს არის თემა, რომელიც რამდენიმე მკვდარი პოლიტიკოსის რეანიმირებას მოახდენს. ამ თემაზე დიდ ხმაურს დაიწყებენ.

***– და რას იტყვიან, გვაცისფერებს ევროპა და ხმალს ხელი ვიკრათო?***

– გვაცისფერების გარდა, იმასაც იტყვიან, გვავარდისფერებენო. მთავარ ყურადღებას მორალზე გაამახვილებენ. გასროლილი ვაზნასავით ფუჭი პოლიტიკოსები იტყვიან, დასავლეთიდან ამორალური ტალღა მოდის, რომელიც ჩვენს პატარა ქვეყანას დაღუპავსო.

***– ხსნას წითელ ეშმაკთან – რუსეთთან მოძებნიან?***

– რა თქმა უნდა, მხსნელად დაგვიხატავენ კრემლს. დემაგოგია მარტო სიტყვა არ არის, ის მეცნიერება გახლავთ. ამ დემაგოგიის წყალობით არის საქართველოში არეულობა.

ამ თემაზე ხმაურის ატეხა რუსეთის ინტერესებშია და ისინი ამ საკითხს საკუთარი მოსახლეობისთვისაც სერიოზულად გააპიარებენ.

***– საკუთარ მოსახლეობას რაღას ეტყვიან?***

– ეტყვიან, რომ სწორედ ამორალობის გამო უპირისპირდებიან დასავლეთს, სიამაყით აღნიშნავენ, რომ ამ საქმეში საქართველოს სახით იდეური თანამოაზრეც გამოუჩნდათ. ამ თემით ეკონომიკურ გაჭირვებასაც გადაფარავენ, ხალხს აუხსნიან, რომ სახისა და მორალის გადასარჩენად სიდუხჭირეში ყოფნა გამართლებულია.

კრემლს რეალურად ეძლევა შანსი, საქართველოს მოსახლეობას, რომელიც მორალის დასაცავად გამოვა, გამოუცხადოს თანადგომა და შესთავაზოს დახმარება.

***– რა სახის დახმარება?***

– ყველა სახის. არც იმას გამოვრიცხავ, რუსი პოლიტიკოსების ნაწილმა საჯაროდ მოინანიოს, რომ მოსკოვმა საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო წაართვა.

***– ეს რას შეცვლის?***

– ვიღაცებს გული მოუბრუნდება რუსეთზე, რაც მოსკოვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმას არ ვამტკიცებთ, რომ ეს ასე მოხდება, მაგრამ ასეთი სცენარი ნამდვილად არის შემუშავებული. დამერწმუნეთ, მის ამუშავებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება.

თქვენს მკითხველს ერთ საინტერესო ინფორმაციასაც მივაწვდი. საქართველოში არის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ლგბტ პირებს თავგამოდებით იცავენ. ისინი დასავლეთიდან იღებენ დაფინანსებას. ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენს ლგბტ-ებს აფინანსებენ, რუსული სპეცსამსახურების ფულით საზრდოობენ.

ამ საკითხზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, გამგები ისედაც ყველაფერს გაიგებს. ეს არის თემა, რომელიც კავკასიურ მენტალიტეტზეა გათვლილი. რუსულმა სპეცსამსახურებმა ძალიან კარგი გეგმა მოიფიქრეს.

არავის შეშინება არ მინდა, მაგრამ მაისიდან საქართველოსთვის მძიმე პერიოდი დადგება. სამწუხაროდ, არც ტერაქტებია გამორიცხული. ვინ და რა მიზნით განახორციელებს ამ ყველაფერს, ძნელი სათქმელია. საქართველოში ბევრი ინტერესი იკვეთება.

***– მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრისას არ გვიხსენებია ლაფანყურის სპეცოპერაცია. არადა, წლების წინ სწორედ ამ სპეცოპერაციის გულისთვის გვიპირებდნენ თბილისში ტერაქტების მოწყობას. რა ხდება ამ საქმეზე? ცოტა ხნის წინ გვითხარით, საქმე გამოძიებულია, მაგრამ, სხვა ქვეყნების მოთხოვნით, თაროზეა შემოდებულიო.***

– გიდასტურებთ, რომ ეს საქმე გახსნილია. 2 წელი თაროზე მართლაც იმიტომ იყო შემოდებული, რომ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა გვთხოვეს. ახლა, მგონი, ცოტა სხვანაირად არის საქმე. ლაფანყურის დეტალები რაღაც სხვა მიზეზით არ ხმაურდება. ეს კი საქართველოს შესაძლოა ძვირად დაუჯდეს.

***– გამოდის, რომ შურისძიებას არ გამორიცხავთ?***

– საქართველოს წინააღმდეგ შურისძიება არ იქნება. ყველამ კარგად იცის, რომ ეს სპეცოპერაცია ქართველი ხალხის ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა. კავკასიელებისთვის უკვე ცნობილია კონკრეტული დამნაშავეების ვინაობა. ისინი საჭიროების შემთხვევაში თავად იძიებენ შურს. ჯერ ამას არ აკეთებენ.

***– რატომ არ აკეთებენ?***

– ისინი ელოდებიან ქართული მხარის სიტყვას. ხომ შეიძლება, გამოძიებამ სხვა შედეგი დადოს. ეს ადამიანები ჩვენს სახელმწიფოს პატივს სცემენ. ჩვენც პატივი უნდა ვცეთ ამას. აგვისტოში სისხლიანი ოპერაციიდან 4 წელი გადის. უახლოეს მომავალში თუ არ მოხდა საქმის გასაჯაროება, კავკასიელებსა და რადიკალ ისლამისტებს ძალიან გავანაწყენებთ. მათი სახელით შესაძლოა ვიღაცამ რაღაცა მოაწყოს. არ დაგვავიწყდეს, 2012 წლის შემოდგომაზე თბილისის მეტრო ტერაქტს გადაურჩა.

# ნინო ბურჯანაძე: „სრულიად მსოფლიოს ტერორიზმის საფრთხე ემუქრება“



– დაცული ვერ იქნება ვერცერთი ადამიანი და ვერცერთი სახელმწიფო, მათ შორის ჩვენი ქვეყანა, რადგან ახლაც ტერორიზმის საფრთხე ემუქრება სრულიად მსოფლიოს, – განუცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „ინტერპრესნიუსს“ ბელგიაში მომხდარი რამდენიმე ტერორისტული აქტის შეფასებისას.

**ნინო ბურჯანაძე:**

– პირველ რიგში, მინდა სამძიმარი გამოვუცხადო ყველა დაღუპულის ოჯახს, გამოჯანმრთელება ვუსურვო დაშავებულებს, სამძიმარი გამოვუცხადო ბელგიის ხელისუფლებასა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც მართლა გული შესტკივა მშვიდობისთვის და იმისათვის, რომ ადამიანები ნორმალურ გარემოში ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე ფაქტია, ტერორიზმს არანაირი გამართლება არ აქვს, სადაც არ უნდა ხდებოდეს ის, ბელგიაში, თურქეთში, რუსეთში თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოში. არანაირი კეთილშობილური იდეებით ტერორიზმის გამართლება არ შეიძლება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტერორიზმის მსხვერპლნი არიან, როგორც წესი, აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი მიიჩნევს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომები უნდა იქნეს მიღებული, თუმცა ეს ზომები, სავარაუდოდ, უკვე დაგვიანებულია.

– სწორედ ამ დაგვიანების ბრალია ისიც, რომ ასე გაძლიერდა ტერორიზმი მსოფლიოში და ასე გააქტიურდა ტერორიზმი ევროპის შუაგულში. დაცული ვერ იქნება ვერცერთი ადამიანი და ვერცერთი სახელმწიფო, მათ შორის ჩვენი ქვეყანა, რადგან ახლაც ტერორიზმის საფრთხე ემუქრება სრულიად მსოფლიოს.

მე ვფიქრობ, რომ ამ ტერორიზმსა და იმას, რაც ახლა ხდება, ძალიან ღრმა საფუძვლები აქვს, მაგრამ ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ახლა დავინახეთ კიდევ უფრო ნათლად ძალიან სერიოზული საფრთხე, რაც სრულიად ცივილიზებულ კაცობრიობას ემუქრება და ყველა სახელმწიფომ, რომელსაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძალა შესწევს, უნდა გააერთიანოს ძალისხმევა, მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომელიც ბუნებრივად არსებობს სახელმწიფოებს შორის, ერთი ინტერესი უნდა ჰქონდეს ყველას, რომ იბრძოლოს ტერორიზმის წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბნელი ძალები ისე გაძლიერდებიან და ისე მოედებიან მთელ მსოფლიოს, რომ დედამიწის ვერცერთ კუთხეში ვერერთი ადამიანი თავს მშვიდად ვერ იგრძნობს, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი თავდგირიძე: „საქართველოში ამერიკული ასეული შემოდის“

გულიკო ბალაძე



## „მკაცრი განცხადებები რუსეთის წინააღმდეგ ლეგიტიმურია“

თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძის განცხადებით, თუ რუსულ მხარეს სურვილი აქვს, საქართველოსთან ურთიერთობა დაალაგოს, შეუძლია გადავიდეს მოლაპარაკების რეჟიმში. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, მუქარის ენა და შანტაჟი ორმხრივ ურთიერთობას სარგებელს არ მოუტანს, საქართველოსა და რუსეთს შორის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდება.

***— ბატონო გიორგი, ცოტა ხნის წინ თქვენ დასცინეთ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, რომელიც დაემუქრა თურქეთს, რომ განახორციელებდა რუსეთის იმპერატორის განზრახვას და სტამბოლს აიღებდა. როგორ აღიქვით კარასინის განცხადება, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენ დაგვემუქრა?***

— კონკრეტულ პოზიციას არ გამოვხატავ. მხოლოდ შემიძლია ვთქვა, რომ დიპლომატიური ენისთვის მუქარა მიუღებელია. თუ რუსულ მხარეს სურვილი აქვს საქართველოსთან ურთიერთობა დაალაგოს, შეუძლია გადავიდეს მოლაპარაკების რეჟიმში, როცა ჩვენ ვისაუბრებთ კონფლიქტის მოგვარების გზებზე. რაღაცაზე შევთანხმდებით, რაღაცაზე ვერ შევთანხმდებით, მაგრამ შედგება დიალოგი ორ თანასწორ ქვეყანას შორის, რომლებსაც სურთ პრობლემები დაძლიონ.

სხვა ნებისმიერ შემთხვევაში მუქარის ენა და შანტაჟი ორმხრივ ურთიერთობას სარგებელს არ მოუტანს, საქართველოსა და რუსეთს შორის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდება.

მიუხედავად იმისა, რას თვლის რუსეთი სწორად, რა შეფასება აქვს მას 2008 წელს და მანამდე საქართველოს მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე, თუ სურს, მართალი იყოს, უნდა აირჩიოს დიპლომატიის და არა ხელების გადაგრეხვის გზა, რადგან საქართველო კერკეტი კაკალია — მას შეუძლია პრინციპულად დაიცვას თავისი პოზიციები, მტკიცედ დაუდგეს ნებისმიერ გამოწვევას, ნებისმიერ მუქარას, ნებისმიერ მოქმედებას რუსეთის მხრიდან.

***— კარასინს საქართველოს თავდაცვის მინისტრის რიტორიკა არ მოსწონს და სააკაშვილის დროინდელ რიტორიკას შეადარა. რამენაირად ეთანხმებით თუ...***

— ეს არის ჩვეულებრივი რიტორიკა, სადაც ერთი მხარე საუბრობს იმაზე, რომ რუსეთის მიმართ არის მტკიცე პოლიტიკა გასატარებელი. არიან ჯგუფები, რომლებიც საქართველოში მოქმედებენ და საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ, მიიღოს რუსეთის წინადადებები. ეს წინადადებები ითვალისწინებს ოკუპირებული ტერიტორიების ქვეყნებად აღიარებას, რაღაც ამორფულ ნეიტრალიტეტს, რომელშიც არანაირ გარანტიებს ჩვენ არ ვიღებთ.

ასეთი ჯგუფების მოზღვავება აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს და თავისთავად გამოწვეულია გარკვეული საინფორმაციო ომით, რომელსაც რუსეთი აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ.

სანამ რუსეთსა და საქართველოს შორის პრობლემები არ გადაიჭრება, მანამ რუსეთი ჩვენ მიმართ მტრულად გამწყობილი ქვეყანაა, მას ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის ნაწილები, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ჰყავს თავისი შეიარაღებული ძალები და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისი შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოზე ზეწოლისთვის იყენებს.

კიდევ ბევრი მიზეზია, რის გამოც ქართველ პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეთ მკაცრი პოზიცია. მკაცრი განცხადებები რუსეთის წინააღმდეგ ლეგიტიმურია. მათ აქვთ თავისი მიზნები. კარასინის მოწოდებები აგიტაციასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ღიმილისმომგვრელია.

***— რას შეიძლება ემსახურებოდეს დროდადრო საოკუპაციო ხაზის გაფართოება? ახლაც რუსებს შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში გზა გაჰყავთ და ქართველი მოსახლეობის ხეხილს ჩეხავენ.***

— თითოეული ასეთი ნაბიჯი რაიმე გლობალურ მიზანს არ ემსახურება, მაგრამ თავისთავად მანიშნებელია იმისა, რომ რუსეთი პატივს არ სცემს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას. მას არ აღიქვამს სრულფასოვან პარტნიორად, რომელთანაც შეიძლება ჯანმრთელი საუბარი პრობლემაზე. რუსეთი გვესაუბრება ძლიერის პოზიციიდან, რომლითაც მან 2008 წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

***— როგორ შეიძლება იმის გაკეთება, რომ რუსეთმა ოკუპაციის ხაზი ვეღარ გააფართოოს?***

— 100-200 და 400-მეტრიანი მონაკვეთების დაცვა საკმაოდ პრობლემურია. ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება მხოლოდ გლობალურად. ჩვენ ძალიან სწორად მივდივართ, ვახორციელებთ დაბალანსებულ პოლიტიკას, ვძლიერდებით ეკონომიკურად, ვძლიერდებით, როგორც საზოგადოება, როგორც სახელმწიფო, ძლიერდება ჩვენი თავდაცვისუნარიანობა. მოვა ეტაპი, როდესაც ვითარება შეიძლება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალოს.

***— რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ მოვა ის ეტაპი, როცა მოხდება დეოკუპაცია? რუსეთმა საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, თავისი სიტყვა თქვა სირიაში. ახლა კავკასიაში ფართომასშტაბიან წვრთნებს იწყებს. არ არის გამორიცხული კავკასიაში დაიწყოს რაღაც ქმედებები. თქვენ რატომ ფიქრობთ, რომ რუსეთი დასუსტდება და ჩვენ ამით ვისარგებლებთ?***

— საქართველო არის მზარდი განვითარების ქვეყანა. ჩვენი თანამოქალაქეების იმედი მაქვს. ჩვენი ძალისხმევით, გარჯით, შრომითა და ყველა საკითხისადმი გონივრული მიდგომით ახლო მომავალში საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ ვიქცევით. ამის ბევრი ინდიკატორი არსებობს. ჩემს ოპტიმისტურ განწყობას, პირველ რიგში, ჩემი თანამოქალაქეებისადმი ჩემი რწმენა იწვევს.

***— ეგ გასაგებია, მაგრამ არ შეიძლება რაღაც ნიშნულზე ჩვენი ძალოვნები ისე განვალაგოთ, რომ რუსებმა საოკუპაციო ხაზი აქეთ ვეღარ გადმოწიონ, კონტროლის დაწესება არ სცადონ გორი-თბილისის ავტომაგისტრალსა და საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთობსადენზე?***

— არის წითელი ხაზები, რომელთა გადმოლახვის საშუალებას რუსეთს არავინ მისცემს. ის უპირობო კაპიტულაცია, რომელიც დაიწყო 2008 წელს, არის ძალიან დიდი ტვირთი. სამხედრო მარცხს (მორალური და ფიზიკური თვალსაზრისით), რომელიც განვიცადეთ 2008 წელს, დასრულება უნდა.

***— კაპიტულაცია ხომ არ გრძელდება?***

— კაპიტულაცია არ გრძელდება. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია თავდაცვის უწყებაში მიმდინარე გამალებული ტრანსფორმაციის პროცესი და მძლავრი ეკონომიკური პროექტები, რომლებიც ხორციელდება სამხედრო სფეროს გარეთ. აქედან გამომდინარე, კაპიტულაცია არ გრძელდება.

კაპიტულაცია იქნებოდა, თუ ჩვენ უარს ვიტყოდით ნატოზე, ევროინტეგრაციაზე. შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე, ჩვენი მეხუთე კოლონისა თუ რბილი ძალისთვის დაგვეჯერებინა და გამოგვეცხადებინა ნეიტრალიტეტი, წავსულიყავით ევრაზიული კავშირისკენ იმ იმედით, რომ რუსები, ადრე თუ გვიან, მოწყალებას გაიღებდნენ. ჩვენი საგარეო ორიენტირი, ჩვენი მიზანი, შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო, არ შეგვესრულებინა.

***— ახლახან ამერიკელმა გენერალმა ბენ ჰოჯერსმა განაცხადა, რომ მაისში საქართველოში სატანკო და საჰაე-***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## დავით ბაქრაძე: „ჩვენი სპეცსამსახურების მთავარი დავალება მხოლოდ პოლიტიკოსების თვალთვალი უნდა იყოს“



— ჩვენი სპეცსამსახურების მთავარი დავალება უნდა იყოს არა პოლიტიკოსების თვალთვალი, არამედ ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამ ტიპის ბრუტალური შეტევები არა მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგაა მიმართული, არამედ ცივილიზებულ, ევროპულ ღირებულებებზე შეტევაა, — ასე გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე ბრიუსელში მომხდარ რამდენიმე აფეთქებას.

**დავით ბაქრაძე:**

— ამ შეტევას ერთადერთი პასუხი აქვს — ესაა უფრო მეტად მტკიცედ დგომა და იმ ღირებულებების დაცვა, რომელსაც ნებისმიერი ნორმალური ქვეყანა ემყარება, ამიტომ თანამედროვე სამყარო მტკიცედ უნდა იდგეს ყოველი შეტევის შემდეგ.

ჩვენი, როგორც საქართველოს არჩევანი არის ის, რომ ამ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვიყოთ. ჩვენც სხვებთან ერთად ვებრძოლოთ ტერორიზმს. შესაბამისად, ჩვენი სპეცსამსახურების მთავარი დავალება უნდა იყოს არა პოლიტიკოსების თვალთვალი, არამედ ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, — განაცხადა ბაქარაძემ. დავით ბაქრაძის კომენტარს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახური ავრცელებს.

**ინტერპრესნიუსი**

## საპატრულო პოლიცია მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილების მქონე ობიექტებს მაქსიმალურად გააკონტროლებს

საპატრულო პოლიცია მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილებისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ადგილებს მაქსიმალურად გააკონტროლებს, ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

როგორც უწყებაში განმარტავენ, ბელგიის დედაქალაქში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაამკაცრა უსაფრთხოების ზომები ქვეყნის საზღვრებსა და აეროპორტებში, ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტზე.

— შსს-ს საპატრულო პოლიცია როგორც ქვეყნის პერიმეტრზე მდებარე, ისე მის მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე გამოიყენებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფრო მაღალი დონის ზომებს.

არსებული რისკფაქტორების გათვალისწინებით, ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები. პირად შემადგენლობას ჩაუტარდა შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, საპატრულო პოლიცია მაქსიმალურად გააკონტროლებს მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილებისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ადგილებს, მოვლენათა შესაძლო ექსტრემალური განვითარების თავიდან აცილების მიზნით.

საკონტროლო-გამტარი პუნქტების მუშაობა აეროპორტებში, სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე არსებული ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების სრული და ეფექტური გამოყენებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის განხორციელების მიზნით, სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა სრულ მზადყოფნაშია. შსს-ს სასაზღვრო პოლიცია მაქსიმალურად აკონტროლებს სახელმწიფო საზღვრის ე.წ. მწვანე ზოლს.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც აგრძელებს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობას, რომ დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება, — ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით უსუფაშვილი: „ჩვენი ვალია ტერორიზმის წინააღმდეგ ერთიანობა“



— ტერორიზმს არ აქვს საზღვრები. ჩვენი ვალია ამ საშინელი საფრთხის წინააღმდეგ ერთიანობა და ძალისხმევის სრული მობილიზება, — ასე გამოეხმაურა საუდის არაბეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ბრიუსელში გუშინ მომხდარ ტერორისტულ აქტებს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ქართველი ხალხის სახელით ტერაქტის შედეგად დაღუპულების ოჯახებს მიუსამძიმრა.

**დავით უსუფაშვილი:**

— შეძრწუნებული ვარ საზარელი ტერორისტული აქტებით ევროპის დედაქალაქში — ბრიუსელში. საქართველოს პარლამენტისა და ქართველი ხალხის სახელით, ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახების წევრებს, თანაგრძნობას გამოვხატავ ბელგიის ფედერალურ პარლამენტში ჩვენი კოლეგებისა და მთელი ბელგიელი ხალხის მიმართ! დღევანდელი მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ტერორიზმს არ აქვს საზღვრები. ჩვენი ვალია ამ საშინელი საფრთხის წინააღმდეგ ერთიანობა და ძალისხმევის სრული მობილიზება, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ბარაკ ობამა: „მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი უნდა იყოს“

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ბრიუსელში მომხდარ აფეთქებებს ეხმაურება. ობამას თქმით, „მომხდარი კიდევ ერთი შეხსენებაა, რომ მსოფლიო ერთიანი უნდა იყოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

— ამერიკელი ხალხის ფიქრები ბელგიელ ხალხთან არის. ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ მათ და ვგმობთ ამ აგრესიულ თავდასხმებს უდანაშაულო ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც აუცილებელია ჩვენი მეგობარი და მოკავშირე ბელგიის დასახმარებლად.



ეს კიდევ ერთი შეხსენებაა იმის, რომ მსოფლიო ერთიანი უნდა იყოს. ჩვენ ერთად უნდა ვიდგეთ, მიუხედავად ჩვენი ეროვნებისა, რასისა და რწმენისა, ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ შეგვიძლია და დავამარცხებთ მათ, ვინც ემუქრება მსოფლიოს გარეშემო ხალხების უსაფრთხოებას, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ბელგიელი ხალხისადმი მიმართვაში.

ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების სერიას, ბოლო მონაცემებით, 34 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულთა რაოდენობამ კი 160-ს გადააჭარბა.

**ინტერპრესნიუსი**

# რამაზ საყვარელიძე: „ფარული მასალების გამავრცელებლის ლოგიკა გაუგებარია“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.**

***– ბატონო რამაზ, როგორც ფსიქოლოგი, როგორ აფასებთ ფარული ჩანაწერების სკანდალს? რა სინდრომია, რა დაავადებაა?***

– დაავადების შთაბეჭდილება ნამდვილად დამრჩა ამ ამბიდან. რაციონალური მოტივი, ლოგიკაზე აწყობილი, გულისხმობს, რომ რაღაც შედეგი უნდა ამ კადრების გამავრცელებელს, შედეგი კი გაუგებარია.

***– რატომაა გაუგებარი?***

– ეს კადრები ხელისუფლების დისკრედიტაციაც არის, ძირითადი ოპოზიციისაც, ანუ ნაციონალების დისკრედიტაციაც. ამ დროს კადრების მფლობელი ნაციონალური მოძრაობაა. ეს ლოგიკაში არ ჯდება, არავინ არაა მოგებული ამ ნაბიჯებით. ერთი ვერსია არის ის, რომ, შესაძლოა, მოგებული აღმოჩნდეს მესამე მხარე.

***– ვინ არის ეს მესამე მხარე?***

– რომ წარმოვიდგინოთ ასეთი სცენარი, რომ ნაციონალებმა გაყიდეს, მყიდველი აღმოჩნდა რუსეთი და დღეს ეს რუსეთმა შემოაგდო. არც ეს არის დიდად გასაგები, იმიტომ, რომ რუსეთს პოლიტიკური მოტივი უნდა ჰქონოდა და პოლიტიკური მოტივით ამ ნაბიჯის გადადგმა, როდესაც შემოდგომაზეა არჩევნები დანიშნული, მეტისმეტად ადრეა. ისევე, როგორც პოლიტიკური შიდა ბრძოლისთვის ამათი გამოყენება მეტისმეტად ადრეა.

***– გულისხმობთ იმას, რომ არჩევნებზე ვერ იქონიებს გავლენას?***

– ცნობილმა ციხის კადრებმა იმიტომ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა 2012 წლის პროცესებზე, რომ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მოხდა მათი გამოქვეყნება. ერთადერთი რამ რჩება, რომ ვიღაცამ თავისი ბოროტი ბინძური ჟინი დაიკმაყოფილა. არც ეს არაა გამორიცხული.

***– ასეთი მასობრივი ჩაწერები, მიყურადება ავადმყოფურ ტვინში დაბადებული იდეაა?***

– ალბათ. გარდა იმისა, რომ შანტაჟის მექანიზმია, მაგრამ ერთი მეორეს არ უშლის ხელს. თანაც ვიცით, რომ გადაღების მერე იკრიბებოდა რამდენიმე კაცი და დიდი სიამოვნებით უყურებდნენ ამ კადრებს. ეს უკვე ავადმყოფობაა.

***– რამდენად მძიმედ აისახება მსხვერპლზე არსებული ინფორმაცია, რომ მასზე ფარული ჩანაწერი არსებობს და რამდენად ყველაფერზე წამსვლელია ეს პიროვნება?***

– თვითონ ადამიანს და შანტაჟის ხარისხსაც გააჩნია. მე არ გამოვრიცხავ, რომ არსებობდეს კიდევ უფრო მეტი მასალა, ვიდრე ეს ჩვენთვის არის ცნობილი და არ არის გამორიცხული, რომ არსებობდეს ვიდეომასალა არა მარტო საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე და მათზეც ხორციელდებოდეს შანტაჟი.

***– უცხოელ დიპლომატებს გულისხმობთ?***

– დიახ. ისინი ამ საკითხში ძალიან მგრძნობიარენი არიან, იმიტომ, რომ იქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტიპის კომპრომატებს. უფრო მეტი, ვიდრე ჩვენთან. ეს ინსტრუმენტი, შესაძლებელია, ბევრი მიზნისთვის იყო გამოყენებული. დღემდე გამოიყენება და აგრძელებს მუშაობას ისე, რომ ჩვენ ვერ ვგებულობთ. რადგან ვინც დაშანტაჟდა, ის ხმას არ ამოიღებს და იმუშავებს მოთხოვნის მიხედვით.

***– რა სახის შეიძლება იყოს ეს მოთხოვნები?***

– სხვადასხვაგვარი. დაწყებული ფულის მიცემით და პოლიტიკური მხარდაჭერებით დამთავრებული.

***– გვესმის შეფასებები, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს ყველაფერი კიდევ უფრო მძაფრ სახეს მიიღებს. მართლაც რამდენად მძიმე სურათი შეიძლება ვიხილოთ?***

– უფრო მძიმე სახეს რომ მიიღებდა, იყო ეს ვერსია. პრინციპში, ამ გავრცელების ავტორს ახლა უნდა გაეშვა თავისი მძიმე არტილერია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამ პირების დაკავებით უკვე გარკვეული საფრთხე მოიხსნა. ახლა გაჩუმება ნიშნავს იმას, რომ ვინც დაიჭირეს, ისინი არიან მთავარი რგოლები ამ პროცესში. ეს არ არის მარტო კონკრეტული პირების დაშანტაჟება, ეს მთლიანად საზოგადოების დაშანტაჟებაა. იმიტომ, რომ შანტაჟს აქვს ძალა იქამდე, სანამ არ გახმაურდება და რომ გახმაურდება, მერე ის უკვე შეურაცხყოფაა მთელი საზოგადოების და მთელ საზოგადოებაში შიშის გაჩენის სურვილია.

***– არ გაჩნდა ეს შიში საზოგადოებაში?***

– ეს შიში გაცილებით მეტი იქნებოდა, ამას რომ მოჰყოლოდა დანარჩენი მასალები, შიში გაორმაგდებოდა, რომ კიდევ ვიღაც სხვაა, ვინც ამაზე მუშაობს. მადლობა ღმერთს, ასეთი რამ ჯერჯერობით არ მოხდა. უკვე ნაკლები ეჭვია იმისა, რომ ეს მანქანა მომავალში უფრო ძლიერ ამუშავდეს, თუკი ის პირები, ვინც პასუხისგებაში მიეცნენ, იყვნენ ამ გავრცელების მნიშვნელოვანი რგოლები. ჯერჯერობით ასეთი შთაბეჭდილება რჩება ამ სიჩუმით, რაც დადგა მათი დაპატიმრების შემდეგ.

***– ჩვენ აქტიურად გვესმოდა შეფასებები, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების ინტერესშია. გაქარწყლდა ეს ეჭვები?***

– მის ინტერესში როგორ არის? ის, რომ ხელს იშვერენ ხელისუფლებისკენ, უკვე ხელისუფლების ინტერესს გამორიცხავს. ხელს ყველა ხელისუფლებისკენ გაიშვერს, თუნდაც იმიტომ, რომ მან თავის დროზე ვერ შეძლო დამნაშავეების დასჯა. ეს სახელები და ეს სახეები ხომ გაცილებით ადრე იყო ცნობილი ხელისუფლებისთვის და ვიდრე ეს უბედურება არ დატრიალდა, იქამდე ხელი არ გაანძრიეს, ხელისუფლებისთვის ეს მოვლენა მაინც მძიმეა.

***– პასუხისმგებლობა მას ეკისრება?***

– რა თქმა უნდა. დღეს ბევრი ამბობს, რომ უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან ისინი, ვისზეც სავარაუდოა, რომ კომპრომატები არსებობს. აქ უნდა გავითვალისწინოთ ტერორიზმის ლოგიკა! ეს ჩვეულებრივი ტერორია, უსისხლო ტერორი! მაგრამ ტერორისტთან ურთიერთობაში არ შეიძლება ტერორისტს დაუთმო. ყველა ქვეყანას ეს პრინციპი აქვს აღებული და იცით, რატომ?!

***– რატომ?***

– საკმარისია ტერორისტს დაუთმო და მაშინვე ტერორიზმს იარაღად იღებს ყველა ის, ვინც დაინტერესებულია ამით. ტერორიზმი გავრცელდება, როგორც მეთოდი, რახან ამ მეთოდს შედეგი მოაქვს. ერთი ადამიანიც რომ გადადგეს ისე, რომ ეჭვი იყოს, რომ მას კომპრომატის შეეშინდა, ხვალ და ზეგ, ასი და ათასი ადამიანი იფიქრებს იმაზე, რომ კომპრომატი როგორ მოაგროვოს და როგორ მიაღწიოს თავისთვის სასურველ მიზანს.



ასეთი დათმობებით შეიძლება გავამყაროთ ამ საშინელი მეთოდის სიცოცხლისუნარიანობა. ამ პერიოდში არაფრით არ შეიძლება არავის გადადგომა, რათა არ გაჩნდეს ეჭვი, რომ ამ მიზეზით გადადგნენ. საზოგადოების დამოკიდებულება იყო ძალიან ჯანსაღი, ის არ ჩაეძია იმას, რასაც გამავრცელებელი ისახავდა მიზნად და კედელი დაახვედრა ამ პროცესს.

***– თუმცა ეს ხომ არის მორალური სიკვდილი იმ ადამიანის, ვისზეც ეს კადრები ვრცელდება?***

– პიროვნებას, რომელზედაც ფირები ვრცელდება, მორალურად კლავენ, ხოლო პიროვნებას, რომელზედაც არ გავრცელდება, ოღონდ შანსია, რომ გავრცელდეს, მშიშარად აქცევენ. შეშინებული ადამიანი კი უკვე სხვა ადამიანია.

---

შორენა მარსაგიშვილი

# აფხაზურ სეპარატიზმს კიდევ ერთი მამა მოუკვდა

## კონსტანტინ ოზგანი 77 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა

**გუშინ, 22 მარტს, სოხუმში აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი კონსტანტინ ოზგანი გარდაიცვალა. აფხაზური მედიის ცნობით, ოზგანი უკვე რამდენიმე წელია, რაც მძიმედ იყო ავად. ამის მიუხედავად, მას აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი არ დაუტოვებია. რამდენიმე დღის წინ ის მოსკოვში იმყოფებოდა.**

– მას ონკოლოგიური დაავადება ჰქონდა. ამ საზარელ სენს წლების განმავლობაში ებრძოდა, სამკურნალოდ რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვსა და ისრაელში. რამდენიმე დღის წინ მოსკოვში იყო, სადაც მკურნალობის მორიგი კურსი გაიარა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა, – განუცხადა ჟურნალისტებს უხუცესთა საბჭოს წევრმა აპოლონ დუმავამ.



მართალია, ავად იყო, მაგრამ, ეტყობა, მაინც არ ეგონა, რომ სიკვდილი გვერდით ჰყავდა. გარდაცვალების წინა დღეს, 21 მარტს, მან უხუცესთა საბჭოს სახელით საგანგებო განცხადება გაავრცელა.

ის შეშფოთებას გამოხატავდა აფხაზეთში არსებული ვითარებით. სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ოზგანის თქმით, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთბრალდებები რესპუბლიკაში დაძაბულობას ზრდის, რაც, მისი აზრით, ცუდად დასრულდება.

ოზგანი ხელისუფლებას რესპუბლიკაში მასშტაბური რეფორმების გატარებისკენაც მოუწოდებდა.

– დაპირისპირების აღმოსაფხვრელად პირველი ნაბიჯი ხელისუფლებამ უნდა გადადგას. ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას დაანახოს, რომ კომპრომისზე წასასვლელად მზადაა. ხელისუფლებამვე უნდა გამოთქვას დიალოგის დაწყების სურვილი. დაპირისპირებული მხარეებმა ერთმანეთს უნდა მოუსმინონ, – ვკითხულობთ ოზგანის წერილში, რომელიც აფხაზებს ანდერძად ექცათ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს. პრეზიდენტი ფეხს არ იცვლის. ამიტომაც მისმა ოპონენტებმა რაულ ხაჯიმბას მოშორება რეფერენდუმის გზით გადაწყვიტეს. რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყო.

უხუცესთა საბჭოს წევრების თქმით, ოზგანი რეფერენდუმის გამართვის იდეით დიდად აღფრთოვანებული არ იყო. აწ გარდაცვლილი უხუცესი ფიქრობდა, რომ ამ ღონისძიებით აფხაზურ საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

ოზგანი გამოსავალს კოალიციური მთავრობის შექმნაში ხედავდა, სადაც ოპოზიციაც იქნებოდა წარმოდგენილი.

კონსტანტინ ოზგანი წარმოშობით გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნიდან იყო. 1989 წლის მარტში სწორედ ამ სოფლიდან დაიწყო სეპარატისტული გამოსვლები. პირველად მაშინ მოითხოვეს აფხაზებმა საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლა.

ამ გამოსვლების დროს ოზგანს გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნის პოსტი ეკავა. სისხლიანი დაპირისპირებიდან ცოტა ხანში თანამდებობიდან გაუშვეს. მერე იყო აფხაზეთის ომი. ომის შემდეგ ოზგანმა მრავალი თანამდებობა გამოიცვალა.

---

# გიორგი თავდგირიძე: „საქართველოში ამერიკული ასეული შემოდის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***რო-სადესანტო ასეულს შემოიყვანენ. ეს ჩვენი თავდაცვისა და უშიშროებისთვის რას ნიშნავს?***

– პარტნიორობა საქართველოსა და ნატოს შორის ღრმავდება. ეს არ არის მხოლოდ დეკლარაცია და გამოცდილების გაზიარება, გარკვეულ ღონისძიებებს გულისხმობს. შესაბამისად, ამერიკული ასეულის საქართველოში გადმოსროლა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სწავლების შემადგენელია, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნისთვისაც.

პრაქტიკაში სამხედრო საქმე ნიშნავს ბევრი რამის აწონ-დაწონვას, ურთიერთთავსებადობის მიღწევას არა მხოლოდ ნორმატიული აქტებით, არამედ ურთიერთთავსებადობას გარკვეული ოპერაციების დაგეგმვით, რაც ემსახურება საქართველოში შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაზრდას, მისი სამხედრო უნარების ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ძალებისთვის გათანაბრებას.

***– ამერიკული ასეულის შემოყვანა საქართველოში ჩვენი მტრებისთვის რაიმე შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს თუ რუსეთისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორია?***

– ამერიკული ასეულის შემოყვანა მჭიდრო ურთიერთობის დემონსტრირება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია. არამეგობარ და არაპარტნიორ ქვეყნებში ასეთი ტიპის სწავლებები არ ტარდება. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ რუსეთისთვის მთავარი შემაკავებელი ფაქტორი არის საქართველოს მოქალაქეების მტკიცე ნება, წინ აღუდგნენ რუსეთის აგრესიას და დაიცვან დამოუკიდებლობა. ამაზე დიდი შემაკავებელი ფაქტორი ბუნებაში არ არსებობს.

***– საქართველოს მოქალაქეებს ეს საქმე ჯარისა და პოლიციისთვის აქვს მინდობილი. მათ იარაღი არ აქვთ, თვითონ რომ დაიწყონ რაიმე ქმედებები. როგორ შეიძლება დაიცვას, მაგალითად, ჯარიაშენში მცხოვრებმა თავისი სახლკარი და კარმიდამო?***

– ამერიკული ასეულის შემოყვანა შემაკავებელი ფაქტორია რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიისთვის და არა ცალკეული ფაქტებისთვის. მე არ ვიცი, რუსეთი კიდევ რა პროვოკაციაზეა წამომსვლელი.

***– ხელახალი აგრესია მოსალოდნელია?***

– მე არ შემიძლია ახლა ამაზე საუბარი, რადგან ოფიციალურ პოზიციას წარმოვადგენ. ამაზე ისაუბრონ ანალიტიკოსებმა, რომლებსაც მეტი თავისუფლება აქვთ. მე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემა მუდმივად ემზადება ნებისმიერი გარე საფრთხის მოსაგერიებლად. თუმცა, ქვეყანას არ იცავს მხოლოდ ჯარი. ჩვენ არმიის ახალი კონცეფცია შევქმენით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ამ კონცეფციის მიღების შემდეგ, შეიქმნება ტერიტორიული თავდაცვის კონცეფცია, რომელიც გვარდიის კონცეფციის სახელით შემოვა, სადაც მოცემული იქნება ბევრი სიახლე – ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამხედრო გამოცდილებისა, საშუალება ექნება, იპოვოს თავისი ადგილი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ზოგი ამას გააკეთებს წიგნით ხელში, ზოგიც ავტომატით და ტანკზე ამხედრებული.

***– ამერიკული ასეული აქ დარჩება?***

– ეს არავინ იცის. ამაზე საუბარი ნაადრევია. ეს არის ძალიან სერიოზული საერთაშორისო სწავლების ნაწილი. ახლა მთავარია, სწავლება ნორმალურად ჩატარდეს. სწავლების დამთავრებისა და შედეგების განხილვის შემდეგ რა მოხდება, ეს უკვე მომავლის თემაა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# სოსო ცინცაძე: „ნაციონალების შანსები „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული“

ნათია ხურცილავა



**ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიის პირველი ათეული არაოფიციალურად უკვე ცნობილია. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შანსებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, უკვე დასახელდა რამდენიმე გვარი, ვინც დაიკავებს ნაციონალური მოძრაობის სიის პირველ ათეულს. საუბარია პიანისტ ხატია ბუნიათიშვილზე, გიორგი ქადაგიძეზე, რომან გოცირიძეზე, ზაზა ბიბილაშვილზე, გიგა ბედინეიშვილზე, ოთარ კახიძეზე. რას მოუტანენ ეს ადამიანები ნაციონალურ მოძრაობას?***

– საინტერესოა, პიანისტი ქალი უცხოეთში გასტროლებს მიატოვებს და პარლამენტში იჯდება, რომ კანონპროექტებს უკირკიტოს?! თანაც, მაშინ, როდესაც შემოქმედებით მწვერვალზეა და მისი ტეხილი ქვევით არ მოდის. პარლამენტის წევრობა არ გახლავთ ინგლისელ არისტოკრატთა კლუბის წევრობა, სადაც კვირაში ერთხელ მიხვალ, სალონურ საუბრებს დაესწრები და შენც გამოხვალ სიტყვით, რათა მოგისმინონ. ასეთი დამოკიდებულება პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის, შეურაცხყოფაა.

ზაზა ბიბილაშვილი ჭკვიანი ახალგაზრდაა. ეს მან არც ისე დიდი ხნის წინ გახმაურებულ სასამართლო პროცესებზეც დაამტკიცა და ეს ნამდვილად არის შენაძენი ნაციონალებისთვის. ასევე შენაძენი იქნება რომან გოცირიძე, რომელსაც კარგად ვიცნობ. ის არის მაღალი კლასის ეკონომისტი. სულ სამი მაღალი კლასის ეკონომისტი გვყავს, ერთ-ერთი გოცირიძეა, ასევე – ლადო პაპავა და მიხეილ ჯიბუტი.

***– კვლავ ნაციონალურ მოძრაობას რომ დავუბრუნდეთ...***

– არაერთხელ ითქვა, რომ ნაციონალური მოძრაობა განახლებას საჭიროებს და ეს თქვა მიხეილ სააკაშვილმა თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. როგორც ჩანს, ნაციონალები მართლაც წავლენ ამ გზით. რაც შეეხება იმას, რომ ამ გამწევ ათეულში არ მოხვდნენ გიგა ბოკერია, მიშა მაჭავარიანი, გოკა გაბაშვილი, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი იხდიან პოლიტიკურ ფასს, მაგრამ მათი გამოცდილება აუცილებლად დასჭირდება პარტიას. ამიტომ მათ საბოლოოდ კი არ დაემშვიდობებიან, არამედ ფარდის უკან მოუწევთ ბრძოლა.

პირველი ათეული გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, როგორი იქნება მეორე ათეული, ასევე საინტერესოა, ერთმანდატიან ოლქებში ვინ იქნება წარმოდგენილი, ალბათ, იქ აქცენტი უფრო საარჩევნო გამოცდილებაზე გაკეთდება და ნამდვილ გამოცდილ მებრძოლებს დააყენებენ.

> **„ხატია ბუნიათიშვილი უცხოეთში გასტროლებს მიატოვებს და პარლამენტში იჯდება, რომ კანონპროექტებს უკირკიტოს?!“**

მაგალითად, რომან გოცირიძე მათ ერთმანდატიან ოლქში არ გამოადგებათ, რადგან ის მეცნიერია და არ არის მიტინგებსა და ბარიკადებზე მებრძოლი, ასევე ბედინეიშვილიც, რომელიც ასევე მეცნიერია. ეს ადამიანები ნაციონალებს სწორედ გამწევ ათეულში სჭირდებათ და ეს სწორი არჩევანია. პირველი ნაბიჯი საკადრო კუთხით უშეცდომოდ არის გადადგმული და წინა არჩევნებიდან, ჩანს, კარგი გაკვეთილი გამოიტანეს.

***– თუმცა ამ სიაში არის ოთარ კახიძე, რომელიც იყო ადეიშვილის მოადგილე. ამაზე როგორი რეაგირება ექნება ხალხს?***

– დიახ, ის იყო ხელისუფლებაში და მაღალ თანამდებობაზე, ამიტომ შეიძლება ეს მას გაუხსენონ და წამოაძახონ, მაგრამ ამასაც დამტკიცება სჭირდება, რომ დემაგოგიაში არ გადავიდეს.

***– სააკაშვილი იქნება სიაში?***

– არა. სააკაშვილისთვის რიგითი დეპუტატობა მისი სტატუსის დამცირებას ნიშნავს. სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ მისი დრო ჯერ არ დამდგარა. მან რეალური შედეგი ჯერ უკრაინაში უნდა დადოს. უკრაინის ბატალიები შუა გზაზე რომ მიატოვოს, არანაირი პერსპექტივა აღარ ექნება დიდ პოლიტიკაში და ამას კარგად აცნობიერებს.

***– ძველი სახეების ახლებით ჩანაცვლება მათში დაპირისპირებას გამოიწვევს?***

– არა მგონია, რადგან ეს, ალბათ, საერთო შეთანხმებით მოხდა. რასაკვირველია, შეიძლება გულში უკმაყოფილება ჰქონდეთ და ამაზე თქვან კიდეც ერთმანეთში, მაგრამ ღია დაპირისპირება, ალბათ, არ იქნება. როგორც ჩანს, მეორე ათეულში დამსახურებული ნაციონალები იქნებიან წარმოდგენილნი, რომელთა კისერზეც გადაიარა ყველა წინა არჩევნებმა, რეჟიმის უკანასკნელი წლების ყველა კოლიზიამ. მათ იმედი აქვთ, რომ პარლამენტს მიღმა არ დარჩებიან. ეს იმედი რამდენად საფუძვლიანია, ამას დღეს გადაჭრით ვერავინ იტყვის.

***– როგორი იქნება ნაციონალური მოძრაობის შანსები ამ არჩევნებზე?***

– ნაციონალური მოძრაობის შანსების გარანტი ამ არჩევნებზე „ქართული ოცნებაა“. „ქართული ოცნების“ წარუმატებლობა პირდაპირ ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ არა იმ ნაციონალური მოძრაობის, რომელიც ვიცით, არამედ ამ ახალი სახეების.

როდესაც დაიწყება წინასაარჩევნო კამპანია, ეს ახალი სახეები გამოვლენ ხალხში, დაიწყებენ საუბარს, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება მათდამი ხალხის რეაქცია. ამ ახალ სახეებს ვერავინ წამოაძახებს, რომ ვიღაცას ქონება წაართვეს, ვიღაცას სახლი დაუნგრიეს. ვერც ბედინეიშვილს, ვერც ბიბილაშვილს, ვერც გოცირიძეს ვერ წამოაძახებენ, რომ მათ ხელები გასვრილი აქვთ. ამიტომ ვამბობ, რომ სწორი არჩევანია გაკეთებული, მაგრამ ეს პირველი ეშელონია. რაც შეეხება მეორე და მესამე ათეულს, მათ მართლაც დაუნდობელ ბრძოლაში მოუწევთ მონაწილეობის მიღება, თუმცა ამის გამოცდილება აქვთ. მაგალითად, გიგა ბოკერია შეუდარებელი, დაუმარცხებელი პოლემისტია.

***– ბოკერია დებატებში თითქმის არ მონაწილეობს.***

– ესეც მისი სწორი ტაქტიკაა. ის პირდაპირ ეთერში ჩართვებით ამბობს თავის სათქმელს. საინტერესო იქნებოდა „ქართული ოცნების“ რომელიმე წარმომადგენლისა და ბოკერიას დებატები.

***– კიდევ ერთი სიახლეა, რასაც ნაციონალები ამომრჩეველს სთავაზობენ – სიის ნახევარი ქალებით იქნება დაკომპლექტებული.***

– ეს არის პოლიტიკური მოდის ხარკი. ევროპა მოითხოვს, რომ საარჩევნო სიაში წარმოდგენილი იყოს 30% ქალი და 70% მამაკაცი, მაგრამ ნაციონალების მატარებელი, როგორც ვიცით, ყველაზე წინ მიდის და ამ შემთხვევაშიც არ დასჯერდნენ 30%-ს. ეს არ არის სიახლე და მაგონებს კომუნისტურ პერიოდს, სადაც იყო კვოტები, ამდენი მუშა, ამდენი კოლმეურნე და ყველაზე ცოტა მათ შორის – მეცნიერი.

# ბრუნო ბალვანერა: „ქვეყანაში დაბეგვრის რეჟიმი გამარტივდება“



საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით ხელისუფლებას კერძო სექტორთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, – განაცხადა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში ბრუნო ბალვანერამ ფინანსთა სამინისტროში, სადაც ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

ბალვანერას თქმით, აღნიშნული ცვლილებები ყველას მხრიდან მოწონებულია, რადგან ეს გულისხმობს საგადასახადო სისტემის გამარტივებას ბევრი კუთხით, რაც, თავის მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნას მოიცავს.

– გამარტივდება ქვეყანაში დაბეგვრის რეჟიმი, მოხდება რეინვესტირების წახალისება. აქედან გამომდინარე, ამ რეფორმას ძალიან ბევრი დადებითი ფაქტორი უკავშირდება. რაც შეეხება კონსულტაციების ფორმატს, ხელისუფლებას კერძო სექტორთან ჰქონდა ძალიან მჭიდრო ურთიერთობა.

მოისმინეს ჩვენი აზრი და გაითვალისწინეს. შედგა კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ მოგების გადასახადთან დაკავშირებული რეფორმის ამოქმედების ვადა 2017 წლის პირველი იანვრისთვის გადაიწიოს. ეს საშუალებას მისცემს როგორც ხელისუფლებას, ასევე კერძო სექტორს, რომ ამ ინიციატივისთვის კარგად მოემზადონ, – განაცხადა ბალვანერამ.

თავის მხრივ, საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ასლანიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რატომ ითხოვდა „საქართველოს ბიზნესასოციაცია“ მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის ამოქმედებას არა პირველი ივლისიდან, არამედ პირველი იანვრიდან.

**ირაკლი ასლანიშვილი:**

– ჩვენი ინიციატივა ეხებოდა და ეყრდნობოდა რამდენიმე არგუმენტს, თუ რატომ შევთავაზეთ ხელისუფლებას, რომ კანონპროექტის ამოქმედების ვადები განსაზღვრულიყო 2017 წლის პირველი იანვრიდან და არა პირველი ივლისიდან, როცა საქმე გვაქვს მნიშვნელოვან რეფორმასთან, რომელიც ძირეულად ცვლის საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმებს.

შესაძლებელია, პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ ხარვეზები გაჩნდეს, ამისგან არავინაა დაზღვეული და ჩვენ ვიცით, რომ ესტონეთში ამოქმედების დღიდან 200-მდე ცვლილება შეიტანეს კანონპროექტში, ამიტომ ვფიქრობდით, რომ პირველი ივლისიდან შესვლის შემთხვევაში პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვის მომენტისთვის არ დარჩებოდა არანაირი დროის რესურსი, რომ რაიმე ცვლილება შესულიყო მომავალი პარლამენტის მუშაობის დაწყებამდე, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ წონიანი არგუმენტია და მნიშვნელოვანწილად სცემს ყველა კითხვას პასუხის, თუ რატომ მოვითხოვეთ ეს.

მისივე თქმით, ბევრ კომპანიას დრო დასჭირდება ამ ცვლილებებთან ადაპტირებისთვის.

– პირველი ივლისიდან ამოქმედების შემთხვევაში, შესაძლოა გარკვეული ბუნდოვანება გაჩენილიყო რეფორმის იმპლემენტაციის პერიოდში, რაც გარკვეულწილად ამ მნიშვნელოვანი კანონპროექტის დისკრედიტაციის რისკებს შექმნიდა. ჩვენ ეს არ გვინდა, რომ მოხდეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ რეფორმას, – განაცხადა ასლანიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოდარ ხადური: „ბიუჯეტის კორექტირება წელს საჭირო აღარ იქნება“



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის კორექტირება წელს საჭირო აღარ იქნება. როგორც გუშინ ცნობილი გახდა, მოგების გადასახადის რეფორმის ამოქმედება 2017 წლის 1 იანვრიდან იგეგმება.

რაც შეეხება მოგების გადასახადის რეფორმიდან გამომდინარე ბიუჯეტის კორექტირებას, ხადურის თქმით, ეს წელს საჭირო არ იქნება. მისივე თქმით, ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება ადმინისტრაციულ ხარჯებს შეეხებოდა.

**ნოდარ ხადური:**

– დაახლოებით 350-400 მილიონი ლარის შეკვეცაზე იყო საუბარი, თუმცა თქვენ იცით, რომ ბიზნესისგან იყო თხოვნა და რეკომენდაცია, რომ კანონპროექტი ახალი ფისკალური წლიდან ამოქმედდეს, რათა პრობლემები არ შეჰქმნოდა ბიზნესს და აღრიცხვიანობა მოწესრიგებულიყო, მეტი დრო გვქონოდა ბიზნესსა და შემოსავლების სამსახურს, რათა ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმისთვის კარგად მოვმზადებულიყავით.

* * *

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური იმედოვნებს, რომ ლარის კურსი დასტაბილურდება და რყევები არ მოხდება. როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მან რამდენიმე კვირის წინ გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საგარეო ფაქტორები შეიცვალა.

**ნოდარ ხადური:**

– რეგიონში, მათ შორის, ნავთობექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაში შეიმჩნევა წინსვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში გაიზრდებოდა უცხოური ვალუტის შემოდინება და უნდა დაველოდებოდით ლარის გამყარებას.

ჩვენ ვაკვირდებით აღნიშნულ პროცესს და იმედი მაქვს, რომ ლარი დასტაბილურდება, არ მოხდება რყევები, – განაცხადა ხადურმა.

როგორც მან აღნიშნა, არც გაუფასურებისა და არც გამყარების პერიოდში ფინანსთა სამინისტროს კურსზე გავლენა არ მოუხდენია.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯორჯ ველტონი: „მოგების გადასახადის რეფორმა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ხელს შეუწყობს“

ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ველტონი მიიჩნევს, რომ მოგების გადასახადის რეფორმა წაახალისებს ქვეყანაში რეინვესტირებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ხელს შეუწყობს.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის ფარგლებში მოხდება გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებაც.

– ამ ინიციატივით მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ და განვუმტკიცებთ იმის რწმენას, რომ საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა ინვესტორებისათვის. ვთვლით, რომ სწორედ ეს ინიციატივა შეუწყობს ხელს, ქვეყანაში შემოვიდეს მეტი უცხოური ინვესტიცია, – განაცხადა ჯორჯ ველტონმა.

ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა ფინანსთა სამინისტროს ბიზნესასოციაციებთან ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი განცხადებით, სამინისტროს ურთიერთობა ბიზნესსექტორთან სამაგალითო იყო.

– ასევე დიდ მადლობას ვუხდი მთავრობას, რომელიც გამოეხმაურა ჩვენს წინადადებებს რეფორმის ამოქმედების ვადებთან დაკავშირებით. ჩვენი თხოვნის საფუძველზე ამ ვადამ გადაიწია 2017 წლის 1 იანვარს. ეს არის ნიმუში იმისა, რომ ხელისუფლება ითვალისწინებს გადამხდელთა მოსაზრებებს. ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალური იყო ის ფაქტი, რომ ბიზნესს ჰქონოდა საკმარისი დრო დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის, ახალი ინიციატივისთვის სწორად და ადეკვატურად მომზადებისთვის, – აღნიშნა ჯორჯ ველტონმა.

**ინტერპრესნიუსი**



# მამუკა გიორგაძე: „რუსეთს ხელს აძლევს მოჩვენებითად პროდასავლური ძალების მმართველობა საქართველოში“

## „საზოგადოების ეროვნულ-რელიგიურ ნაწილს ბნელების იარლიყებს აწებებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთის ოფიციალური პირების ბოლოდროინდელი განცხადებები საქართველოში ბევრმა აღიქვა რუსეთის ახალ ტონალობად, რომლითაც ის სამხრეთ კავკასიაში გავლენის გაძლიერებას ცდილობს. სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსეთის მოქმედებებსა და მისი წარმომადგენლების განცხადებებში ახალი არაფერია.**

**მამუკა გიორგაძე:**

– რუსეთის მხრიდან ახალი ნოტები ვერ დავინახე. რუსეთი ჩვენთან ურთიერთობაში ცვლის ფორმებს, თორემ შინაარსი უცვლელია. აბაშიძე-კარასინის ფორმატის თითქმის ყოველი შეხვედრის წინ საქართველოში, საოკუპაციო ხაზზე ხდება ინციდენტები. მუდმივად რუსეთის მხრიდან ხან ტკბილი შემონათვალია, ხან – მკაცრი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვიქცევით. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი და მაღალჩინოსანი ხაზგასმულად არაკორექტული იყო რუსეთის მიმართ, საქმით კი სხვა რამეს ახორციელებდა.

***– კერძოდ?***

– სააკაშვილის მთავრობის წევრი ირაკლი ოქრუაშვილი შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა, ფეკალიებზე საუბრობდა. რამდენიმე წლის შემდეგ იგივე ოქრუაშვილი რუსეთიდან აპირებდა ახალი რევოლუციის მოწყობას საქართველოში. მიხეილ სააკაშვილი მუდმივად ლანძღავდა რუსეთს, მაგრამ მთავარია, რას აკეთებდა და რა შედეგი მოჰქონდა მის მოქმედებებს. სააკაშვილი რუსთავი 2-ის ეთერში სადებატოდ უჯდებოდა ვლადიმერ ჟირინოვსკის. მაშინ სააკაშვილი მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარე იყო და მას ნახევარი საქართველო ვერ იტანდა, მაგრამ ამ დებატებში მოწინააღმდეგეებიც მის მხარეს იჭერდნენ. ეს კარგად გააზრებული ტექნოლოგიაა, რომელიც რუსეთსაც აწყობს და აქაურ პოლიტიკოსებსაც. ის ახლაც გამოიყენება.

***– სააკაშვილთან მიმართებაში?***

– არა მხოლოდ სააკაშვილის მიმართ. საკმარისია სააკაშვილის რეიტინგი შეირყეს, რომ მაშინვე იწყება რეაგირებები. ეს რეაქცია შეიძლება გამოიხატოს კარასინის ან სხვისი პირით. ეს ნიუანსები მუდმივად მეორდება. მაგალითად, ბოლო დროს რუსეთის წარმომადგენლებმა, მათ შორის კარასინმა, აუგად მოიხსენიეს პრეზიდენტი მარგველაშვილი და თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი. ეს გათვლილი იყო მათ რეკლამირებაზე.

***– გასაგებია, რომ რუსეთის მიერ გაკრიტიკებული პოლიტიკოსები საქართველოში პოზიტიურად აღიქმებიან, მაგრამ კრიტიკა რეიტინგს ვერ გაუზრდიდა იმავე თავდაცვის მინისტრს.***

– რასაკვირველია, რეიტინგის ზრდა ასე უცებ არ ხდება, მაგრამ რუსეთთან დაპირისპირებაში პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი თუ კარგად წარმოჩნდებიან, ისინი ხდებიან ფიგურები. პრეზიდენტ მარგველაშვილს ხშირად ვაკრიტიკებ. ძალიან არ მომწონს, რომ რამდენიმე დღის წინ მან უმსგავსობის პროპაგანდირება



მოახდინა. მიუხედავად ამისა, კარასინთან დაპირისპირებაში საქართველოს პრეზიდენტს ვუჭერ მხარს. სად გვყავს კარასინის გასალანძღი პრეზიდენტი! საგარეჯოს შუალედური არჩევნების გაყალბების საქმეს იძიებდა პროკურატურა. ის შეისწავლიდა ამ საქმეში თინა ხიდაშელის მონაწილეობას. კარასინის კრიტიკის შემდეგ ეს საქმე უცებ დაიხურა. თავდაცვის მინისტრის ავტორიტეტიც ამაღლდა. საერთოდ, ჩვენ ხშირად ვხდებით გარედან მოწყობილი თამაშების მონაწილეები. გვიან ვხვდებით, რომ ქაოსსა და თამაშებში ჩაგვითრიეს. საზოგადოება იმას მაინც ჩასწვდა, რომ ე. წ. პროდასავლური ძალები ანტიდასავლურად იქცევიან. მათი მოქმედების შედეგად საქართველოში საგარეო ხედვები შეიცვალა რუსეთის სასარგებლოდ. ეს ძალიან სამწუხარო მოვლენაა.

***– ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მომავალ პარლამენტში ღიად პრორუსული ძალები მოვიდნენ?***

– არა, იმიტომ, რომ რუსეთს აშკარად პრორუსული პარტიების ხელისუფლებაში მოსვლა არ სჭირდება. რუსეთს ხელს აძლევს მოჩვენებითად პროდასავლური ძალების მმართველობა. როცა საქართველოში შევარდნაძე და პატიაშვილი იყვნენ ერთმანეთის კონკურენტები, რუსეთმა მხარი დაუჭირა ედუარდ შევარდნაძეს. შევარდნაძე დეკლარირებულად დასავლური კურსის მიმდევარი იყო. ასე იყო სააკაშვილიც. სამაგიეროდ, რუსეთი ყოველთვის ებრძოდა სახალხო პარტიას და სხვა ჩვენსავით მემარჯვენე პროდასავლურ და იმავდროულად ეროვნულ ძალებს. ჩვენ ბრძოლას გვიცხადებდნენ, რომ მთავარი ნიშა ნაციონალურ მოძრაობას დაეკავებინა. სხვათა შორის, ბოლო დროს საქართველოში კიდევ ერთი მართული სავალალო ტენდენცია გაჩნდა – საზოგადოების ეროვნულ-ეკლესიურ ნაწილს ბნელების იარლიყს აწებებენ. საზოგადოება ამაზეც უნდა დაფიქრდეს.

***– კონფიგურაციის შეცვლა რუსეთის ინტერესებში არ შედის?***

– ეს ასეა. რუსეთი ცდილობს, მუდმივად ქაოსში გვამყოფოს, რომ არაფრით არ მოხდეს ქართული პოლიტიკური აზრის კონსოლიდაცია. არადა, საზოგადოება ილვიძებს. მოვიდა დრო, რომ ქართული პოლიტიკა გახდეს არა გარედან მართვადი, არამედ, შიდა დუღილის პროდუქტი. მომავალ პარლამენტში აუცილებელია ეროვნული სუბიექტის გაჩენა. ამ სუბიექტის გარეშე მართვადი სახელგატეხილი ძალები ვერ მოიტანენ სტაბილურობას და ვერ გააუმჯობესებენ პოლიტიკურ ყოფას და ხალხის მდგომარეობას.

# „მასტერას“ ექსტრადიციასთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს

**ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი კუდის ყოფილი მაღალჩინოსნის, გიორგი დგებუაძის საქართველოში ექსტრადირებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს, რომელსაც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:**




„საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით, განზრახ მკვლელობისთვის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ბრალდებული გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, ნიდერლანდების სამეფოდან ექსტრადირებულ იქნა საქართველოში.

გიორგი დგებუაძის მიმართ, რომელიც თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოებს და დატოვებული ჰქონდა ქვეყნის ფარგლები, ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოცხადებული იყო საერთაშორისო ძებნა. ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ, მისი დაკავებისა და ექსტრადირების მოთხოვნით, მიმართა ნიდერლანდების კომპეტენტურ ორგანოებს და ძებნილი ბრალდებულის საქართველოში ექსტრადირების საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა მათთან.

პროკურატურის მოთხოვნის შედეგად, ნიდერლანდების სასამართლომ დასაშვებად ცნო გიორგი დგებუაძის საქართველოში ექსტრადიცია. აღნიშნულის საფუძველზე ბრალდებული ექსტრადირებულ იქნა საქართველოში და ამჟერად საქმის სასამართლოში განხილვა გაგრძელდება მისი მონაწილეობით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2005 წლიდან გიორგი დგებუაძე იკავებდა შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე სამმართველოს უფროსის თანამდებობას, ხოლო მოგვიანებით თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას ბრძანებით დაინიშნა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსად.

გიორგი დგებუაძეს ბრალად ედება 2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსთან დავით ახალაიასთან და ამავე დეპარტამენტის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, „ნავთლუღის“ ავტოსადგურში სამი ახალგაზრდის, შოთა გორგაძის, მარად ართმელაძისა და რომან სურმანიძის წინასწარ დაგეგმილ მკვლელობაში მონაწილეობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ პუნქტებითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რასთან დაკავშირებითაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, ხოლო ამ დანაშაულში ჩართული სხვა თანამონაწილეების მიმართ უკვე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი“ – ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# უკრაინული პრესა: „ეკა ზღულაძის ქმედება მსოფლიომ გაიგო – ის შეეცადა, უკრაინიდან 4 მილიონი დოლარი გაეტანა“

უკრაინული პორტალი „Информационный центр“, საქართველოდან უკრაინაში გადასული ჩინოვნიკების შესახებ სტატიას აქვეყნებს, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის ეკა ზღულაძის საქართველოში და უკრაინაში მოღვაწეობასაც აფასებს.



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ფრაგმენტს სტატიიდან:

– ეკა ზღულაძე – უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, წარსულში კი – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი იყო. ეს ერთი შეხედვით სუსტი ქალი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მოადგილედ მუშაობდა (ვ. მერაბიშვილი დღეს ციხეში ზის ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების გამო).

შეიძლება ვინმემ იმის მტკიცება დაიწყოს, რომ ეკა ზღულაძემ თავისი ბოსის დაუნდობელი ქმედების შესახებ არაფერი იცოდაო, მაგრამ ფაქტები პირიქით მეტყველებენ. მისი ერთ-ერთი ბოლო საეჭვო ქმედება მსოფლიომ გაიგო – ეკა ზღულაძე შეეცადა უკრაინიდან 4 მილიონი დოლარი გაეტანა – წერს პორტალი.

**ნიუსპრესი**

# ვახტანგ სურგულაძე: „პირველადი ჯანდაცვის რეფორმა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ქვეყანაში შეიძლება გაკეთდეს და დღემდე არავის გაუკეთებია“

**პირველადი ჯანდაცვის რგოლის რეფორმა, ამბულატორიული მომსახურებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სფეროს მთავარ პრიორიტეტად სახელდება – ეს არის იმ საერთო გამოკითხვის პირველადი შედეგები, რომელიც იანვრის ბოლოს დაიწყო და პრაქტიკულად მთელი საქართველო მოიცვა.**

საკონსულტაციო ჯგუფი „გლობალური ალიანსი“ და ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობის ინტერნეტ გამოკითხვას აგრძელებს, რეგიონულ ცენტრებში კი 16 ათასი ადამიანი იქნა გამოკითხული. ფონდ „კურაციოს“ მიერ ამ დარგის სპეციალისტების გამოკითხვით ხარჯთეფექტურობის გაზრდა ერთ- ერთ უმთავრეს პრობლემად დასახელდა, რაც შეუძლებელია მიღწეულ იქნას პირველადი ჯანდაცვის რეფორმის გარეშე.

„გლობალური ალიანსი“ ჩართულია ჯანდაცვის სისტემის რეფორმის განხორციელებაშიც და გამოკითხვის შედეგები სრულად აისახება სამინისტროს შემდგომ რეფორმებში.

ჯანდაცვის ექსპერტის ვახტანგ სურგულაძის აზრით, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ქვეყანაში შეიძლება გაკეთდეს და დღემდე არავის გაუკეთებია.

მისი განცხადებით, ეს რგოლი თუ არ განვითარდა სრულყოფილად, სხვა რეფორმებზე საუბარი ზედმეტი იქნება, გინდა, ჩ ჰეპატიტის პროგრამა იყოს და გინდა, ულტრათანამედროვე კლინიკები ავაშენოთ. მთელი მსოფლიო იქით მიდის, რომ სტაციონარული მკურნალობა შეიცვალოს ამბულატორიულით და პროფილაქტიკით. ხარჯთეფექტურია და იმიტომ. კარგია, რომ საქართველოში ღვიძლის გადანერგვა უკვე შესაძლებელია, მაგრამ უმჯობესი იქნება, ადამიანს ისეთი არაფერი დაემართოს, რომ გადანერგვა დასჭირდეს.

კარგი პირველადი ჯანდაცვა შესაძლებლობას გვაძლევს, ბევრი ხარჯი და ინვალიდიზაცია თავიდან ავიცილოთ. ამბულატორიების რეფორმა, თუ პროცესი სწორად წარიმართება, ყველა მიმართულებით გაზრდის ხელმისაწვდომობას.

ექსპერტმა ისაუბრა ასევე იმ პრობლემებზე, რაც დღეს ექიმებს ყველაზე მეტად აწუხებს:

– მოტივაცია არ აქვს ოჯახის ექიმს, რომ იმუშაოს. ის თანხა, რასაც უხდიან, ძალიან მცირეა. ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ოჯახის ექიმი ბორჯომიდან ერთი საათის სავალ მანძილს გადის ავტობუსით, ჩადის 12 საათზე და ერთ საათში უკან ბრუნდება, რა ხელმისაწვდომობაზე და პროფილაქტიკურ მედიცინაზე უნდა ვისაუბროთ ამ პირობებში? გამოყოფილი დაფინანსება პირველადი ჯანდაცვისთვის უნდა იყოს ყველაზე მეტი და მოცულობითი. ეს უნდა გახდეს მომავალი რეფორმების საყრდენი.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე – ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ბრიუსელის ტერაქტები ისლამურმა სახელმწიფომ მოაწყო







პარიზში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან სულ რაღაც ოთხი თვე გავიდა და ევროპა ისევ მოიცვა ტერორისტული აქტების ახალმა ტალღამ.

ამჯერად ტერორისტებმა სამიზნედ ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი აირჩიეს.

ყველაფერი გუშინ, 22 მარტს, დილის საათებში მოხდა.

პირველად აფეთქების ხმა ბრიუსელის აეროპორტში გაისმა. ამას მალე იმავე აეროპორტში მეორე ტერაქტიც მოჰყვა, ხოლო მესამე ტერორისტული აქტი ბრიუსელის მეტროსადგურ შუმანში განხორციელდა.

ბრიუსელის პროკურატურამ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და დადგინდა, რომ აეროპორტში ერთი ტერაქტი თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა, მეორე შემთხვევაში კი ჩანთა აფეთქდა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო.

პოლიციამ აეროპორტში კალაშნიკოვის ავტომატებიც იპოვა, რომლებიც ტერორისტებს არ გამოუყენებიათ.

მსხვერპლის რაოდენობა 34 ადამიანს აღწევს, დაშავებული კი 170-ზე მეტია. მეტროში 20 ადამიანი დაიღუპა, აეროპორტში კი – 14.

აღსანიშნავია, რომ ბრიუსელში მომხდარ ტერაქტებამდე რამდენიმე დღით ადრე ამავე ქალაქში დააკავეს პარიზის ტერაქტების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი სალაჰ აბდესლამი, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდნენ. ჯერჯერობით უცნობია, არის თუ არა კავშირი აბდესლამის დაკავებასა და ბრიუსელის ტერაქტებს შორის.

❖ ❖ ❖

გუშინვე ბელგიაში ტერორისტული საფრთხის უმაღლესი მეოთხე დონე გამოცხადდა და ენერგეტიკულ ობიექტებზე დაცვა გაძლიერდა.

ბრიუსელის პოლიციამ სახლების ჩხრეკა და ქალაქში რეიდები განახორციელა, რის შედეგადაც ორი ეჭვმიტანილი დააკავეს. რამდენიმე მათგანი აქტიურად იძებნება. მედიის საშუალებით მათი ფოტოსურათებიც გავრცელდა.

გუშინ საღამოს ცნობილი გახდა, რომ ბრიუსელის ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

მან თავდასხმების დეტალები გაავრცელა.

დაჯგუფების ერთ-ერთი მედიასაშუალების, სააგენტო „ალ-ამაკის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა თავდასხმები შაჰიდის ქამრებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების საშუალებით განახორციელეს.

– ისინი თავს დაესხნენ აეროპორტსა და მეტროს ცენტრალურ სადგურს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელის ცენტრში, ქვეყანაში, რომელიც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციაში მონაწილეობს, – ნათქვამია განცხადებაში.

ტერორისტების თქმით, მებრძოლებმა აეროპორტში ცეცხლი გახსნეს, რის შემდეგაც რამდენიმე მათგანმა თავი აიფეთქა.

რაც შეეხება ბრიუსელის მეტროს, ტერორისტების ინფორმაციით, მალბეკის სადგურზე ასევე თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი.

მომხდარი ტერაქტების გამო ბელგიის მთავრობამ ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

❖ ❖ ❖

ბუნებრივია, ამ ამბავს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა როგორც პოლიტიკოსებისგან, ასევე ცნობილი ადამიანებისგანაც.

მანჩესტერ სიტისა და ბელგიის ნაკრების კაპიტანმა ფეხბურთში ვინსენ კომპანიმ განაცხადა, რომ ის შოკირებულია მომხდარით. კომპანის თქმით, პოლიტიკურ თამაშებს უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ეწირება.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მომხდარს ლაჩრული თავდასხმა უწოდა, რომელიც ევროპას თავისუფლებას ვერ წაართმევს.

ტერაქტებზე კომენტარი გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმაც, რომელმაც ბელგიელ ხალხს მძიმე წუთებში სიმტკიცისკენ მოუწოდა. კვირიკაშვილის აზრით, ტერაქტები თავისუფალი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული უსასტიკესი დანაშაულია.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მსოფლიოს მოუწოდა, რომ ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანდნენ და ბელგიელებს დახმარებასა და თანადგომას შეჰპირდა.

**ბექა გოგინაშვილი**

## ბარაქ ობამა რაულ კასტროს შეხვდა

გრძელდება ბარაქ ობამას ისტორიული ვიზიტი კუბაში. აშშ-ს პრეზიდენტი კუბის ლიდერს რაულ კასტროს შეხვდა. მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

პრესკონფერენციაზე ობამამ განაცხადა, რომ კუბასა და აშშ-ს შორის ახალი ურთიერთობები დაიწყო.

– ჩვენ უნდა დავამყაროთ მჭიდრო სავაჭრო და საქმიანი ურთიერთობები, – თქვა ობამამ.

ამავე დროს, აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბა–აშშ-ს შემდგომი დაახლოების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული კუბაში დემოკრატიის დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემასთან.

– ჩვენი შემდგომი დაახლოების პროცესი კუბელებზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად განვითარდება აქ დემოკრატია, – თქვა ობამამ.

რაულ კასტროს ეს არ მოეწონა. კუბის ლიდერმა აღნიშნა, რომ კუბა–აშშ-ს შორის გარკვეული წინააღმდეგობები მუდამ იქნება, ვაშინგტონიც ამას უნდა შეეგუოს.

– მე ვთვლი, რომ ჩვენსა და აშშ-ს შორის



მშვიდობიანი თანაარსებობის რეჟიმი უნდა დამყარდეს. არც ერთი მხარე არ უნდა ეცადოს, რომ თავისი ფასეულობები მეორეს თავს მოახვიოს, – თქვა რაულ კასტრომ.

კუბის ლიდერი გუანტანამოს ბაზასა და გუანტანამოს ციხის არსებობაზე შეჩერდა. რაულ კასტრომ თქვა, რომ გუანტანამოს ციხე კუბა–აშშ-ს დაახლოებას ხელს უშლის და ის უნდა დაიხუროს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დონალდ ტრამპი: „ნატო უნდა გაუქმდეს!“

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა მორიგი ექსცენტრიული განცხადება გააკეთა. „ვაშინგტონ პოსტთან“ საუბარში მან თქვა, რომ ნატოს ეფექტურობაში ეჭვი ეპარება.



– ნატო უნდა გაუქმდეს, – ამბობს ტრამპი.

თავისი მოსაზრება მან შემდეგნაირად დაასაბუთა: ევროპელები ნატოს გაძლიერებისთვის არაფერს აკეთებენ; აშშ-ს მარტო უწევს ამ ტვირთის ზიდვა, ეს კი ამერიკას შინაგანად ფიტავს.

– ჩვენ მეტად აღარ გვსურს ამ ტვირთის ზიდვა, –ამბობს ტრამპი.

მილიარდერი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტსაც შეეხო. მან თქვა, რომ რუსული აგრესიის წინაშე ნატო უძლური გამოდგა. აშშ-ს თავად მოუწია რუსეთთან დაპირისპირება, რაც ძალიან საშიშია.

– თუკი ასე გაგრძელდა, რუსეთთან ომი გარდაუვალია. ეს კი მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს, – აცხადებს ტრამპი.

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა უკრაინის მიმართ უარყოფითი განწყობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

– უკრაინა ჩვენი პრობლემა არაა! არ მესმის, ასეთი ტვირთი რად უნდა ავიკიდოთ? უკრაინა მუდამ რუსეთის გავლენის ზონას წარმოადგენდა, დაე, მასზე ვლადიმერ პუტინმა იზრუნოს, – თქვა ტრამპმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პოროშენკო პუტინს ორ რუს სამხედროში ნადეჟდა სავჩენკოს გაცვლას სთავაზობს

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ნადეჟდა სავჩენკოს ორ რუს სამხედროში გაცვლას სთავაზობს.

როგორც პოროშენკომ აღნიშნა, ის მზად არის, უკრაინაში დაკავებული რუსეთის მოქალაქეები, ევგენი ეროფეევი და ალექსანდრ ალექსანდროვი, უკრაინელ მფრინავზე გაცვალოს, რომელსაც გუშინ, 22 მარტს, რუსულმა სასამართლომ 22-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

ამის შესახებ პოროშენკომ ნადეჟდა სავჩენკოს განაჩენის გამოცხადების შემდეგ საკუთარ მიმართვაში განაცხადა.

უკრაინის პრეზიდენტმა რუს




კოლეგას ნორმანდიული ოთხეულის ერთ-ერთ შეხვედრაზე დადებული პირობაც შეახსენა.

„პრეზიდენტი პუტინი ნორმანდიული ფორმატის შეხვედრების მიმდინარეობისას აცხადებდა, რომ ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ უკრაინას ნადეჟდა სავჩენკოს დაუბრუნებდა. დადგა ამ პირობის შესრულების დრო. თავის მხრივ, მე მზად ვარ, გადავცე რუსეთს ორი რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო აგრესიაში მონაწილეობისთვის დააკავეს. მათ საქმეზე სასამართლო განხილვები ფინალურ სტადიაშია და მათი დასრულებისთანავე მზად ვარ, შესაბამისი პროცედურების დაცვით მათი რუსეთში გამგზავრება უზრუნველყო“, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

ნადეჟდა სავჩენკოს 22-წლიანი სასჯელი როსტოვის ოლქის დონეცკის სასამართლომ გამოუტანა.

სასამართლომ უკრაინელი მფრინავი ორი რუსი ჟურნალისტის მკვლელობაში დამნაშავედ ცნო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

# საქართველოს იტალია გაურბის და ფიჯი ეთამაშება



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატში რუმინეთის 38:9 დამარცხებით სარეიტინგო მონაგარს 0,41 ქულა შემატა და მე-12 პოზიციაზე გამაგრდა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ აალაპარაკა უცხოური მედია და უფრო აქტიურად დაიწყეს საუბარი, უნდა იყოს თუ არა საქართველო 6 ერის გათამაშებაში.

კერძოდ, ფრანგული ჟურნალი „რაგბი-რამა“ ღიად წერს, რომ იტალიასა და საქართველოს ნაკრებებს შორის გადათამაშება უნდა მოეწყოს და საამისოდ ფაქტები მოჰყავს.

– იტალიელები ძალიან შორს არიან 6 ერის მონაწილე დანარჩენი 5 ქვეყნისგან. თავის მხრივ, ქართველებიც ძალიან შორს არიან რაგბი ევროპის გათამაშების 5 ქვეყნისგან და რა მოხდება, ერთი რკენა რომ დავამატოთ ამ ყველაფერს?

იმ 17 ტურნირიდან, რომლებშიც იტალიელებმა 6 ერის გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა, 11-ში ბოლო ადგილზე გავიდნენ და „ხის კოვზს“ დაეუფლნენ, 4-ჯერ მე-5 იყვნენ, ხოლო 2-ჯერ მოხვდნენ მე-4 ადგილზე. იტალიელებმა ამ 17 ტურნირზე მხოლოდ 12 მატჩი მოიგეს. ბოლო გათამაშებაში კი იტალიის ნაკრებმა 224 ქულა და 29 ლელო მიიღო. საქართველო კი ძალიან სწრაფად პროგრესირებს, რაც მსოფლიოს თასზეც კარგად ვნახეთ. ერთა თასზე საერთოდ დაუმარცხებლები არიან და 10-დან 10 თამაში მოიგეს. იტალიელებს რეიტინგშიც უსწრებენ, საქართველო მე-12 ადგილზეა, ხოლო იტალია – მე-14-ზე. რატომ არ უნდა ჩავატაროთ ამ ორ ქვეყანას შორის გადათამაშება?

❖ ❖ ❖

თავად იტალიელებს გადათამაშება ნამდვილად არ აწყობთ. მეტიც, გაცილებით დიდ გულზე არიან და თვლიან, რომ მათი ადგილი 6 ერის გათამაშებაშია და იქ საქართველოს ნაკრების ადგილი არ არის. თუმცა, ბორჯღალოსნებთან არათუ გადათამაშებას, ამხანაგურ მატჩსაც გაურბიან.

სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები 25 ივნისს სტუმრად ფიჯის ნაკრებს დაუპირისპირდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბორჯღალოსნები 11 ივნისს სამოას, ხოლო 18 ივნისს ტონგას ეროვნულ გუნდს ეთამაშებიან.

ამის თქმის უფლებას გვაძლევს, ის რომ ფიჯელები 11 ივნისს ტონგას ნაკრებს, ხოლო 18 ივნისს კი სამოას დაუპირისპირდებიან.

თუ ფიჯის სარაგბო ვებგვერდს ვენდობით, ტარდება ოკეანეთის თასი, რომელშიც მონაწილეობას ფიჯის, სამოას, ტონგასა და საქართველოს ნაკრები მიიღებენ, თუმცა დაზუსტებით არაფერი წერია და ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ფიჯის ეროვნულ გუნდთან თბილისში 2012 წელს ითამაშა და 19:24 დამარცხდა.

# ბელგიის ნაკრებმა ტერაქტის გამო ვარჯიში გადადო



გუშინ დილით ბრიუსელში მომხდარი ტერაქტების გამო ბელგიის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა დაგეგმილი ვარჯიში გადადო.

– ჩვენ მთელი არსით იმ ადამიანებთან ვართ, რომლებიც ტრაგედიას ემსხვერპლნენ. დღეს ფეხბურთს მნიშვნელობა არ აქვს. ვარჯიში გადადებულია, – ასეთია ბელგიური ფეხბურთის მალალჩინოსანთა აზრი.

მართალია, ვარჯიში გადაიდო, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, ჩატარდება თუ არა ამხანაგური მატჩი ბელგიისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის, რომელიც 29 მარტს ბრიუსელშია დაგეგმილი.

# იუვენტუსი პოგბას 100 მილიონად ყიდის

იტალიური პრესის მტკიცებით, პოლ პოგბა ძალიან ახლოს არის სეზონის ბოლოს გუნდის დატოვებასთან.

არის თუ არა ეს გამოწვეული იუვეს მერვედფინალური სტადიიდან გამოთიშვაზე, მაგრამ ინფორმაციის მასობრივი გავრცელება სწორედ მიუნხენური იმედგაცრუების შემდეგ დაიწყო. ჟურნალისტები არ აკონკრეტებენ, რომელი მხარე უფრო ფიქრობს ამ ნაბიჯის გადადგმას: პოგბა, რომელიც შეიძლება ამჟამინდელი კლუბის მაქსიმუმს ამ საფეხურს მიიჩნევს, თუ იუვენტუსი რომელიც პოტენციური 100 მილიონის ნაყოფიერად გამოყენებას გეგმავს.

სამაგიეროდ, არსებობს ვარიანტები. პირველ რიგში ალეგრის დაუკმაყოფილებენ პოგბას პოზიციას და ისკოს მოუყვანენ, რომელიც 45 მილიონი ღირს. ნახევარდაცვაში, დიდი შანსია, ბელგიელი აქსელ ვიტსელი ვიხილოთ, რომლის ტრანსფერი მილანში უკანასკნელ წამს ჩაიშალა, თუმცა აქსელმა იტალიაში შეიძლება მაინც იასპარეზოს, მხოლოდ სხვა ფერის მაისურით.

რა თქმა უნდა, ყველასათვის კარგად ნაცნობია ედინსონ კავანი. მისი ტრანსფერი თავის დროზე პსჟ-ს 60 მილიონ ევროზე მეტი დაუჯდა, მაგრამ სადღეისოდ ურუგვაელის ფასი 40 მილიონია. კავანის არაერთხელ დაუფიქსირებია, რომ პარიზის დატოვება სურს, რადგან მწვრთნელი მას განსხვავებულ პოზიციაზე ათამაშებს. თუმცა, თავის მხრივ, ზლატან იბრაჰიმოჩმა სეზონის ბოლოს წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთა და შესაძლოა ამ ფაქტორმა კავანის ტურინში ტრანსფერი ერთობ გაართულოს.



## შედეგები

**21 მარტი**

**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-კარლსრუე ............. 1:0

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ტერნანა ....................... 0:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

კლერმონი-რედ სტარი ............... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პანიონიოსი ..................... 1:1

# გეგუჩაძის დებიუტი სან მარინოსთან იწყება

დღეს საქართველოს 21 წლამდე საფეხბურთო ნაკრები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სან მარინოს ნაკრებს დაუპირისპირდება. ეს იქნება სადებიუტო მატჩი სანაკრებო დონეზე გია გეგუჩაძისთვის. ციკლი კი ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით დაიწყო და ვერ ვიტყვით, რომ წარმატებით.



ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის 6-გუნდიან ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა 2 შეხვედრა მოიგო და 4 წააგო, რის შემდეგაც 6 ქულით მე-4 პოზიციაზეა.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ჩვენებმა სწორედ დღევანდელ მეტოქეს, სან მარინოს ნაკრებს მოუგეს სტუმრად – 3:0. მომდევნო მატჩი კი ასევე სტუმრად ქართველმა ახალგაზრდებმა ხორვატ თანატოლებთან წააგეს – 0:1. შემდეგი მარცხი უკვე საშინაო იყო – 2:5 ესპანელ თანატოლებთან.

ესპანელებთან წაგების შემდეგ შინ მოვუგეთ ესტონეთს – 3:0. ეს იყო და ეს, ბოლო 2 თამაში წავაგეთ. ჯერ ესპანეთში 0:5 და შემდეგ შინ შვედეთის ნაკრებთან – 0:1.

დეკემბერში ალექსანდრე ჩივაძეს 21 წლამდე ნაკრებთან კონტრაქტი დაუმთავრდა, სფფ-მ კი მასთან მუშაობის გაგრძელება აღარ ისურვა და ახალი კონტრაქტი გია გეგუჩაძეს გაუფორმა.

როგორც გითხარით, ეს იქნება პირველი მატჩი მისი ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრებს ორი გასვლითი (შვედეთი და ესტონეთი) და ერთი საშინაო (ხორვატია) მატჩი დარჩებათ.

გეგუჩაძის გუნდი ჯგუფიდან გასვლის თეორიულს შანსს ამ დრომდე ინარჩუნებს. თუმცა მხოლოდ თეორიულს და ესეც მიზერულია.

ევროპის ჩემპიონატზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ორი გუნდი ხვდება. ესპანელების დაწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. მართალია, მე-2 ადგილზე ხორვატიაა და მასთან ჭიდილი შეიძლება, მაგრამ მთავარი აქ შვედეთია, რომელსაც 2 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული, ამასთან, ესპანეთში ფრე ითამაშა და სხვა მატჩებიც იოლი დარჩა. სავარაუდოდ, სკანდინავიელები პირველი ადგილისთვის ესპანეთთან იბრძოლებენ. ჩვენ იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ ამ შესარჩევ ეტაპს მე-3 ადგილით დავასრულებთ.

გეგუჩაძემ უკვე რამდენიმე საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარა. მასთან ერთად გუნდში მუშაობენ გია ჭიაბრიშვილი, მეკარეების მწვრთნელი დავით გვარამაძე და ფიზიკური მომზადების მწვრთნელი, სერბი ივან ვუჩეტიჩი. არის სიახლეც: გუშინ მის გუნდს შეუერთდა ვასილ მაისურაძეც, რომელმაც 17 წლამდე ნაკრების ელიტრაუნდის ჩაგდების შემდეგ თანამდებობა დატოვა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას. მათგან ვის დაეყრდნობა გეგუჩაძე, დღეს გამოჩნდება.

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე (ლოკომოტივი), ბექა ქურდაძე (საბურთალო), ტარიელ ხაინდრავა (რუსთავი);

**მცველები:** თორნიკე კირკიტაძე (ჩიხურა), ლევან გეგეჭკორი (შუქურა), გიორგი თევზაძე (დინამო თბ), გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), ზურაბ ჯაფიაშვილი (სიონი), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), ჯემალ ტაბიძე (გენტი, ბელგია), დაჩი ცნობილაძე (სამტრედია);

**ნახევარმცველები:** თეიმურაზ მარკოზაშვილი (სამტრედია), ლუკა ზარანდია (გენკი, ბელგია), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), გიორგი ხარაიშვილი (საბურთალო), გიორგი გოროზია (სტაბეკი, ნორვეგია), გიორგი აბურჯანია (ხიმნასტიკი, ესპანეთი), ავთო ენდელაძე (სამტრედია), პაპუნა ფონიავა (დინამო ბთ), ლაშა ქოჩლაძე (ცხინვალი);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (როსტოვი, რუსეთი), ლევან შენგელია (ტუბიცე, ბელგია), რომან ჭანტურია (ემპოლი, იტალია), ბაჩანა არაბული (დინამო თბილისი).

საქართველოს 21 წლამდე ნაკრები სან მარინოსთან გასამართი ოფიციალური მატჩის შემდეგ 28 მარტს უკრაინის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ქართველი და უკრაინელი ახალგაზრდების ამხანაგურ მატჩს ქალაქ ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი უმასპინძლებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:5 | 13 |
| 2.ხორვატია | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 12 |
| 3.შვედეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| 4.საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | 6 |
| 5.ესტონეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:15 | 4 |
| 6.სან მარინო | 6 | 0 | 1 | 5 | 1:15 | 1 |

# მასიმილიანო ალეგრი: „იტალიაში ყველა ფეხბურთის პროფესორია“



ტურინის იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ დრამაში მიუნხენის ბაიერნთან დამარცხდა, მაგრამ 2 ტურნირის მოგების შანსი კიდევ აქვს – იტალიის ჩემპიონატისა და თასის.

იუვე სერიას ა-ს ლიდერობს, ხოლო თასზე ფინალშია გასული. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა კმაყოფილია. კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჯუზეპე მაროტამ განაცხადა, რომ მასიმილიანო ალეგრის არსად არ გაუშვებს და არც მთავარი მწვრთნელი აპირებს წასვლას.

ალეგრისთვის წელი ცუდად დაიწყო, მაგრამ გუნდმა მაინც მოახერხა თავისი თავის პოვნა. სწორედ ამ თემებზე საუბრობს ალეგრი, რომლის ინტერვიუც იუვენტუსის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– ბევრი ფიქრობს, რომ იუვენტუსი სკუდეტოსთვის ბრძოლაში აშკარა ფავორიტია.***

– ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ დროს, ამიტომ ნუ ვიჩქარებთ. ხედავთ, ნაპოლი თამაშს თამაშზე იგებს და არ აპირებს გაჩერებას. მაურიციო სარი ბრწყინვალედ მუშაობს და ვფიქრობ, წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებას იმსახურებს.

***– თუმცა, იუვენტუსი პირველი ადგილზეა და სრულიად ბუნებრივია, რომ გულშემატკივართა უმეტესობა ფავორიტად თქვენს გუნდს მიიჩნევს.***

– ჩვენი მიზანია, რომ პირველად ისტორიაში სკუდეტო ზედიზედ მეხუთედ მოვიგოთ. ეს ისტორიული მიღწევა იქნება, რომლისთვისაც ყველაფერს გავაკეთებთ.

***– შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ, რომ მომდევნო სეზონშიც იუვენტუსის მწვრთნელი იქნებით?***

– კონტრაქტი მომდევნო სეზონის ბოლომდე მაქვს. თავად მის გაწყვეტას არ ვაპირებ და ჩემი გეგმები ამ ეტაპზე მხოლოდ იუვენტუსს უკავშირდება, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ კლუბის მესვეურებმა ჩემთან თანამშრომლობა არ ისურვონ.

***– რა კომპონენტებზეა სამუშაო გუნდში?***

– ტაქტიკური კუთხითა და ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებით ყველაფერი რიგზეა. ერთია, იუვენტუსს გამარჯვებული მენტალიტეტი კი აქვს, მაგრამ ამ კუთხით, მაინც საჭიროა მუშაობა. მაგალითად, როდესაც ბაიერნის კალიბრის გუნდს ხვდები, საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე უნდა იყო დარწმუნებული.

***– ამბობენ, რომ სერია ა-ში იუვენტუსს შედარებით იოლი კალენდარი აქვს.***

– იტალიაში იოლი თამაშები არ არსებობს. ამდენი ხანია იუვენტუსს ვწვრთნი და არ მახსენდება მატჩი, რომელიც ძალების დაზოგვით მოვიგეთ.

***– თქვენი აზრით, როგორ ითამაშებს იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე?***

– დარწმუნებული ვარ, რომ იტალია გაამართლებს იმედებს და უმაღლესი მიზნისთვის იბრძოლებს.

***– ფეხბურთელებიდან ვისი იმედი გაქვთ ყველაზე მეტად ევრო 2016-ზე?***

– ერთადერთი, ვისი გამოყოფაც დღეს შემიძლია, ჯანლუიჯი ბუფონია. როდესაც ჯიჯი კარში დგას, შეგიძლია მშვიდად იყო.

***– მიმდინარე სეზონი იუვენტუსმა საშინლად დაიწყო და ბევრი თქვენს გათავისუფლებას ვარაუდობდა.***

– დიახ, ბევრმა ჩამომწერა, მაგრამ დღესაც აქ ვარ. ესეც ერთ-ერთი გამოცდა იყო. იმ პერიოდში კლუბის მესვეურებმა ნდობა გამომიცხადეს და ეს გადამწყვეტი იყო.

***– ამბობენ, რომ ჯიუტი ხართ და სხვის რჩევებს არასდროს ითვალისწინებთ და ამის გამო სილვიო ბერლუსკონისთან პრობლემები გქონდათ.***

– რჩევებს სიამოვნებით ვისმენ, მაგრამ გადაწყვეტილებას მე ვიღებ. იტალიაში ყველა ფეხბურთის პროფესორად მიიჩნევს თავს. ყველა რაღაც ახლის ძიებაშია. ამ დროს კი ფეხბურთში არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, რაც მეკარეს მცველის მიერ დაბრუნებული ბურთის ხელში აღება აეკრძალა.

***– ანუ ადასტურებთ, რომ ბერლუსკონისთან საერთო ენა ვერ გამონახეთ.***

– მე და ბერლკუსკონის შორის არსებულ კონფლიქტზე ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ რეალურად ჩვენ შორის ყველაფერი რიგზე იყო. დონ სილვიოს უყვარდა რჩევების მოცემა, მაგრამ არასდროს უთქვამს, რომ მისთვის აუცილებლად დამეჯერებინა.

***– მილანამდე კალიარის წვრთნიდით, იქ კი თქვენი პრეზიდენტი მასიმო ჩელინო იყო. მასზე რას გვეტყვით?***

– ჩელინო კი საინტერესო და მეტად უცნაური ადამიანია. მე არ ვარ ცრუმორწმუნე და მხოლოდ ფაქტები მაინტერესებს, ჩელინოს კი ხანდახან ჭკუიდან გადავყავდი. სენიორ მასიმოს საყვარელი რიცხვი 23 იყო და ეს ნომერი მის ფავორიტ თავდამსხმელ ლარივეის მისცა, შეტევაში კი მატრი შეუწყვილა და მას 32 ნომერი შეურჩია ანუ შემოტრიალებული 23. პირველივე თამაშში ორივემ გოლი გაიტანა და ჩელინო ექსტაზში მოვიდა. უნდა ვაღიარო, რომ მასიმოსთან ურთიერთობა უფრო რთული იყო, ვიდრე ბერლუსკონისთან.

***– რას იტყვით იუვენტუსის მესვეურებზე?***

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მათგან სრული ნდობა მაქვს, ეს კი მწვრთნელისთვის უმთავრესია.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ფაჩულიას 5 წუთი არგუნეს

## ქართველი კალათბურთელები უცხოეთში



დალას მავერიკსმა დრამატული მატჩი მოიგო. ზაზა ფაჩულიას გუნდმა დასავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ პორტლენდს უმასპინძლა და დამატებით დროში 132:120 დაამარცხა.

გასულ 3 მატჩში სათადარიგოდ ყოფნის შემდეგ ფაჩულია სასტარტო ხუთეულში დაბრუნდა, თუმცა მხოლოდ 5 წუთი ითამაშა და შეხვედრა 2 მოხსნითა და 2 აცილებული ორქულიანით დაასრულა.

37 წლის დირკ ნოვიცკიმ ოვერტაიმში ზედიზედ 8 ქულა ჩააგდო, მთლიანობაში კი მიმდინარე სეზონში პირადსარეკორდო 40 ქულა მიითვალა და დალასელებს გაამარჯვებინა. 31 ქულა და 16 პასი გაიღო დერონ უილიამსმა. გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო ახალბედა ცენტრმა, ტუნისელმა სალაჰ მეჯრიმ, რომელმაც 32 წუთში 13 ქულა, 14 მოხსნა და 6 დაფარება მიითვალა.

35-35 მოგებ-წაგებით დალასი ჰიუსტონთან ერთად დასავლეთ კონფერენციაში მე-7-8 ადგილებს იყოფს. მე-6 საფეხურზე პორტლენდია, რომელსაც 1 მოგებით მეტი გააჩნია.

შემდეგ მატჩს ფაჩულიას გუნდი ისევ პორტლენდთან, ამჯერად სტუმრად გამართავს.

ვიქტორ სანიკიძემ თურქეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი შედეგიანად ითამაშა. თედ კოლეჯლერის ქართველმა ფორვარდმა სტუმრად ბანვითს პირველ მეოთხედში 11 ქულა ჩაუგდო, თუმცა დარჩენილ დროში საკუთარ მონაგარს ბევრი ვერაფერი შემატა და შეხვედრა 13 ქულით დაასრულა.

სანიკიძის გუნდმა შეხვედრა 70:92 დათმო. ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 23 წუთში 13 ქულა, 4 პასი და 3 მოხსნა მიითვალა.

თედ კოლეჯლერი 8 მოგებითა და 14 მარცხით მე-12 ადგილზე იმყოფება.

შემდეგ ტურში ანკარელები ბუიუქჩეკმეჯეს უმასპინძლებენ.

გიორგი შერმადინის მორაბანკ ანდორამ გასვლითი გამარჯვება მოიპოვა. ანდორელები სტუმრად მანრესას შეხვდნენ და 13 ქულით – 74:61 მოიგეს.

ამჯერად საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და 19 წუთით დაიტვირთა. ამ დროის მანძილზე გიორგიმ 6 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 2-დან 1 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

11 მოგებითა და 13 მარცხით ანდორა მე-10 ადგილზეა. დარჩენილია 10 ტური, რის განმავლობაშიც შერმადინის გუნდი საუკეთესო 8 გუნდში შესვლას და პლეი ოფში თამაშს ეცდება.

მომდევნო მატჩი ანდორელებს შინ ფუენლაბრადასთან ელით.

ესპანეთის რანგით მეორე დივიზიონის მორიგ ტურში შედეგიანად ითამაშა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრმა, ბექა ბურჯანაძემ და თავის გუნდში საუკეთესოც იყო, თუმცა ქართველმა ფორვარდმა ლეიმა ბასკეტი მარცხისგან ვერ იხსნა.

ლაკორუნიელებს ბოლო 5 მატჩი მოგებული ჰქონდათ და ოვიედოსთან საშინაო შეხვედრაშიც ფავორიტად ითვლებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად მარცხი განიცადეს – 76:85.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 29 წუთი ითამაშა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 2 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ბექამ მთლიანობაში 15 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

14 მოგებითა და 12 მარცხით ლეიმა ბასკეტი მე-5 ადგილზე იმყოფება.

მორიგ მატჩს ბურჯანაძის გუნდი სტუმრად კასერესთან გამართავს.

საფრანგეთის ჩემპიონატში გიორგი ცინცაძის გუნდმა, ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა რუანმა მეორეადგილოსან მონაკოს უმასპინძლა და 13 ქულის სხვაობით – 61:74 დამარცხდა.

ცინცაძემ, რომელიც წინა მატჩში სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 30 წუთი გაატარა, მონაკოსთან მხოლოდ 7 წუთი თამაშა. ქართველმა უკანახაზელმა 3-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 1 ორიანი კი ააცილა. საბოლოოდ ცინცაძემ 6 ქულა და 2 ჩაჭრა დააგროვა.

5 მოგებითა და 19 მარცხით რუანი მე-17 ადგილზეა და დიდი ძალისხმევა მოუწევს, უმაღლესი ლიგიდან რომ არ გავარდეს.

მომდევნო მატჩს რუანი სტუმრად ორლეანთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ვესტ ჰემი ჯეკოში 25 მილიონს იხდის



ინგლისური ვესტ ჰემი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და უკვე ფიქრობს გაძლიერებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება.

ვესტ ჰემის სამიზნე იტალიური რომას ბოსნიელი ფორვარდი ედინ ჯეკოა, რომელიც წლევანდელ სეზონში არცთუ სტაბილურ თამაშს აჩვენებს და იტალიაში მას ხშირად აკრიტიკებენ. მიუხედავად ამისა, ვესტ ჰემი მზად არის, ჯეკოში 25 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ბოსნიელ ფორვარდს აქვს პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება, რადგან ის წლების განმავლობაში მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავდა და ერთი პერიოდი გუნდის მთავარი ფორვარდიც იყო.

შარშან ჯეკომ სიტის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, რის შემდეგაც მან ამ კლუბის დატოვება განიზრახა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# შეფ-მზარეულმა ჯეიმი ოლივერმა შაქარზე გადასახადის მხარდასაჭერად იცეკვა

ბრიტანელმა შეფ-მზარეულმა ჯეიმი ოლივერმა შაქარზე, რომელსაც უალკოჰოლო სასმელები შეიცავს, გადასახადის შემოღების პატივსაცემად იცეკვა. კულინარმა საკუთარი სიხარული ბი-ბი-სი ნიუსისთვის მიცემული ინტერვიუს დროს გამოხატა.

ოლივერი უკვე რამდენიმე წელია ამ პროექტის მიღების მხარდამჭერია. შეფ-მზარეული არის მონაწილე იმ კომპანიისა, რომელიც ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვითაა დაკავებული. ბრიტანელი აქტიურად მონაწილეობდა სკოლების სასადილოებისთვის ჯანსაღი მენიუს შედგენაში.

ახალი გადასახადი 2018 წლიდან ამოქმედდება. მწარმოებლები ვალდებულნი იქნებიან 18 პენსი (დაახლოებით 25 ცენტი) გადაიხადონ ერთ ლიტრ სასმელზე, რომელიც 100 მილილიტრზე 5-8 გრამ შაქარს შეიცავს, ხოლო 24 პენსი (დაახლოებით 34 ცენტი) იმ სასმელში, რომლის 100 მილილიტრში შაქრის შემცველობა 8 გრამზე მეტი იქნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური**



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# ასტროპროგნოზი

## 23 მარტისათვის



**ვერძი** – თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **კურო** – ფასეულობები საფუძვლიანად უნდა გადააფასოთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. დღეს ცივი გონებით იმოქმედეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერი პრობლემის მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერი კომერციული აქტიურობა ფინანსური კრახით დასრულდება. არ გარისკოთ. მძიმე წუთებში ახლობლები დაგეხმარებიან. **ლომი** – თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში პლანეტები ხელს გიშლიან. მნიშვნელოვანი საქმეები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მხოლოდ წვრილმანებით დაკავდით. **ქალწული** – მშვიდად იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. **სასწორი** – ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ცოტა დაბნეული ხართ, თუმცა ეს დროებითია. **ღრიანკალი** – არაკეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის, სამსახურის შესაცვლელად, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და გონებამახვილობაზეა დამოკიდებული. **თხის რქა** – თქვენი ენერგიისა და სასიცოცხლო რესურსების გამოყენების უფლებას ნურავის მისცემთ. დაისვენეთ, არ მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.**მერწყული** – მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების მიმართ. **თევზები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 2. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან. 5. ძაფზე ასხმული სამკაული; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 11. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისავე ქონში ჩახარშული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი.

**თარაზულად**: 1. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 5. სოფელი ხევსურეთში; 7. მექსიკური არაყი; 9. საგნის სახეცვლილება, გარდაქმნა; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. პოპულარული, არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 18. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 23. შრი-ლანკის დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყორე; 2. ილი; 3. სერენადა; 4. კუ; 5. აკაპულკო; 6. ცეცე; 7. ბასკეთი; 10. ჯუნო; 11. იმპერიალი; 12. დეკანოზი; 13. ლისი; 16. ოფელია; 18. რიტუალი; 19. ოპიუმი; 21. ჯუნტა; 24. მსაჯი.

**თარაზულად:** 1. ყარსაღი; 3. „სუძუკი“; 8. სკლერა; 9. რაჯა; 14. ონისე; 15. სინხუა; 17. კუბა; 20. დურაჯი; 22. კრინი; 23. პანამა; 25. სნო; 26. ლუდი; 27. პუმა; 28. ამპლიტუდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:**2. ახალუხი; 3. პრინციპი; 4. ალიგატორი; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ბალზამი; 14. იმპერატივი; 15. სეკატორი; 16. ობლიგაცია; 17. ტატამი; 19. პალანგა; 21. კოლიო; 22. ფლორა.

**თარაზულად:** 1. „მალპენსა“; 5. კაფე; 7. მაჩუბი; 9. კაპიტოლიუმი; 10. „კაბერნე“; 12. ამილაზა; 13. დიონისე; 16. ოსმალეთი; 17. ტუში; 18. ოპერა; 20. კარაბინი; 22. „ფეოლა“; 23. ბარამბო; 24. ციროზი; 25. იგავი.

# მიშა გომიაშვილი იუბილარია



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიშა გომიაშვილი იუბილარია. მას 23 მარტს 55 წელი უსრულდება. ამავე დღეს იუბილარია მისი მამა, ასევე ცნობილი მსახიობი არჩილ გომიაშვილი, რომელსაც 90 წელი შეუსრულდებოდა, ამიტომ მსახიობი ამ ორ მნიშვნელოვან თარიღს სპექტაკლში თამაშით აღნიშნავს:

– 23 მარტს მამაჩემის და ჩემი დაბადების დღეა... მამას შეუსრულდებოდა 90 წელი... მე მისრულდება 55... მრგვალი თარიღები... 23 მარტს გეპატიჟებით მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლზე „არტ-ხელოვნება“. მობრძანდით, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება! დარწმუნებული ვარ, ჩემი მშობლებისთვისაც... – აცხადებს იუბილარი მსახიობი.

23 მარტს სპექტაკლი „არტ ხელოვნებაც“ იუბილარია. მას სამი გენიალური მსახიობი მიშა გომიაშვილი, ზურა ყიფშიძე და ალეკო მახარობლიშვილი მე-300-ედ ითამაშებენ.

# სუხიშვილებმა უკრაინელი მფრინავის მხარდასაჭერად ხორუმი იცეკვეს

უკრაინელი მფრინავის, ნადეჟდა სავჩენკოს მხარდასაჭერად თბილისში არსებულ რუსეთის საელჩოს შენობასთან საპროტესტო აქცია-კონცერტი ჩატარდა, რომელშიც სუხიშვილებმაც მიიღეს მონაწილეობა.

70 წლიანი ისტორიის მქონე ანსამბლის მოცეკვავეებმა მათ რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ცეკვა ხორუმი უკრაინული დროშის თანხლებით ღია ცის ქვეშ, შუა ჭავჭავაძის გამზირზე შეასრულეს.

„თავისუფლება ნადიას!“ – ასეთი მოწოდებებით შეიკრიბნენ აქციის მონაწილეები ვაკეში, სადაც კიდევ ერთხელ გააპროტესტეს რუსეთის გადაწყვეტილება და უკრაინელ მფრინავს მხარდაჭერა გამოუცხადეს. სავჩენკოს მხარდაჭერა ქართველმა მომღერლებმაც გამოუცხადეს, მათ ბრავო რექორდსის სტუდიაში სპეციალური ჰიმნი ჩაწერეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ქართველმა რეჟისორმა სოფიის კინოფესტივალზე 50.000 მოიგო




ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა დეა კულუმბეგაშვილმა პროექტით „დაისი“ სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში „სოფია მითინგს“ მთავარი პრიზი 50.000 ევრო მოიგო. კინოფესტივალი 17-20 მარტს მეოცედ გაიმართა და მასში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სოფია მითინგ ფილმების საერთო წარმოებას გულისხმობს და ის კინოფესტივალის ეგიდით უკვე მე-13-ედ ჩატარდა. რეჟისორმა გრანპრისთან ერთად კიდევ ერთი ფულადი ჯილდო 5 000 ევრო მიიღო.

პროგრამაში წარდგენილი იყო 27 კინოპროექტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. დეა კულუმბეგაშვილის ფილმი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა კინოსტუდიამ აირჩია. ფილმში „დაისი“ მოთხრობილია ქართველი ფოტოგრაფის ისტორია, რომელიც ამერიკაში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება ავადმყოფ მამასთან დროის გასატარებლად.

დეა კულუმბეგაშვილთან ერთად სოფიას კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა კიდევ ერთი ქართველი რეჟისორი – ვანო ბურდული. ვანოს ჟიურის სპეციალური ჯილდო გადაეცა ფილმისთვის „გაყინული შადრევნების წელიწადი“. ეს არის მელოდრამა რიგითი თბილისელი ადამიანების შესახებ. მათ სხვადასხვა ასაკი, სოციალური სტატუსი და პროფესიები აქვთ, თუმცა ერთი რამ აერთიანებთ, სიყვარულის ძიება. ფილმში ანდრიუს პაულავიჩუსი, ნუცა კუხიანიძე, ია სუხიტაშვილი და ნატო მურვანიძე მონაწილეობენ.

სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო მთელი მსოფლიოდან შერჩეული მხატვრული, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმები.

# ნინი გოგიჩაიშვილი შეყვარებულია



მოდელი ნინი გოგიჩაიშვილი შეყვარებულია. ტელეკომპანია „ჯიდიესის“ გადაცემა „ბინა 18“-ის ერთ-ერთი წამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილის, იგივე გოგიჩას და ნათია ბანძელაძის შვილია.

ნინი თავის დასთან, ასევე მოდელ ნანუკა გოგიჩაიშვილთან ერთად საზოგადოებრივი თავშეყრის და გასართობი ადგილების ხშირი სტუმარია. მასა და მის დაზე ცნობისმოყვარეები აქტიურად ჭორაობენ და ხან ვისთან დააწყვილებენ, ხანაც ვისთან.

მას შემდეგ, რაც ნანუკა ამერიკაში წავიდა, ნინის მარტო უწევს თბილისში გართობა, თუმცა ბოლო პერიოდში მოდელი ფეხბურთელ გიორგი ჭანტურიასთან ერთად დადის ელიტურ ადგილებში. გიორგი ჭანტურია გერმანული „დუისბურგის“ და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელია. ისინი უკვე რამდენიმე თვეა ერთად არიან. ნინი და გიორგი ერთად გადაღებულ ფოტოებს ხშირად დებენ სოციალურ ქსელში და გრძნობებსაც აღარ მალავენ.

გიორგი ჭანტურიას მეუღლე 23 წლის მიმი შელია იყო, რომელსაც რამდენიმე თვის წინ დაშორდა. მიმი ფართო საზოგადოებაში ქართველ ირინა შეიკად არის ცნობილი. ის მოსკოვში დაბადებული და გაზრდილი ქართველია, სადაც საკმაოდ წარმატებული სამოდელო კარიერა აქვს და პოდიუმებზე სიარულის პარალელურად, ფოტომოდელობითაც არის დაკავებული. მეუღლესთან განშორებიდან მალევე, მიმიმ რუს ფეხბურთელთან ფიოდორ სმოლოვთან დაიწყო შეხვედრები.

# 103 წლის ბრიტანელი სვირინგის გაკეთებას აპირებს



დიდ ბრიტანეთში 103 წლის ჯეკ რეინოლდსმა სატელევიზიო შოუს პირდაპირ ეთერში ვისკი დალია და განაცხადა, რომ სვირინგის გაკეთებას აპირებს. მისი მიზანია გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ადამიანის, რომელმაც სვირინგი გაიკეთა.

რეინოლდსის თქმით, მას ასევე სურდა, რომ თავისი შვილიშვილის ჰოვერბორდით გაესეირნა, მაგრამ ოჯახის წევრების უარის შემდეგ გადაწყვიტა, სვირინგის გაკეთებით დაკმაყოფილდეს.

ტელე-შოუს ეთერში რეინოლდსმა ასევე იხუმრა, რომ სვირინგს დუნდულაზე გაიკეთებს. წამყვანის შეკითხვაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებრივ აზრთან მიმართებაში, ვინაიდან მათ ის შესაძლოა შეშლილად ჩათვალონ, რეინოლდსმა განაცხადა, რომ ის უკვე კარგა ხანია შეშლილია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# აზერბაიჯანული პრესა: „სააკაშვილმა ირგვლივ მექრთამეები და კორუმპირებულები შემოიკრიბა“



გავლენიანი აზერბაიჯანული გამოცემა „Каспий“, უკრაინაში, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციასა და მისი გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვების ფაქტს ეხმაურება.

გამოცემის თანახმად, ნიშანდობლივია, რომ ოდესის გუბერნატორობიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მიზნით ხელმოწერების შეგროვების ინიციატორი სწორედ „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ წევრი, სახალხო დეპუტატი დიმიტრი გოლუბოვია, რომლის თქმით, ექს-პრეზიდენტი უქნარა და ტრაბახა გამოდგა და რეალურად იგი არაფერს აკეთებს.

– დიმიტრი გოლუბოვის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა ირგვლივ მექრთამეები და კორუფციონერები შემოიკრიბა, ოდესელები ყველაფერს ხედავენ და ამიტომაც აღარ სურთ ასეთი ხელმძღვანელი ჰყავდეთო. ხელმოწერების შეგროვება „თვალსაჩინო აგიტაციის“ თანხლებით დაიწყო: აქტივისტებმა კარვები დადგეს პლაკატებით – გამოგაგდეს თბილისიდან? გაგაძევებთ ოდესიდანაც, – ნათქვამია სტატიაში.

*ნიუსპრესი*

# სამგლოვიარო განცხადებები

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა

**ამირან ადამაშვილი**



შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს გული ჩასწყვიტა და ცრემლი დააღვრევინა. მდუმარებით ვაკვირდებით შენს გადიდებულ სურათს, იქნებ რაღაც იმქვეყნიური ამოვიკითხოთ. სიტყვები არ გვყოფნის შენი ამქვეყნიური ცხოვრების გასახსენებლად, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე მოგონებად არის გადაქცეული და ისტორიის კუთვნილებაა.

ჩემო ამურ, 60 წელზე მეტი ერთად გავატარეთ, ერთი ცხოვრებით ვიცხოვრეთ, ტყუპისცალებივით ვიყავით, მაგრამ დღეს უკვე ფრთამოტეხილივით დავრჩი.

5 აპრილს 65 წელი შეგისრულდებოდა, როგორ ნატრობდი ამ დღის აღნიშვნას, მაგრამ ნუ იდარდებ, ჩვენ აღვნიშნავთ, მხოლოდ უშენოდ. სამეგობროში, სანათესავოში და სამეზობლოში შენ ხომ გამორჩეული და კოლორიტი კაცი იყავი. ყველა ვილოცებთ შენი სულის მოსაგონებლად. გარწმუნებ, მუდამ გვემახსოვრები ისეთი, როგორიც თავი დაგვამახსოვრე.

შენს წმინდა სასუფეველში დაგხვდებიან შენი მშობლები და ნათესავები. უამბე ჩვენი ამბავი და უთხარი, რომ მათ დატოვებულ ცხოვრებას მედგრად და კაცურად ვაგრძელებთ.

ჩემო ამურ, ძალიან მიჭირს ახლა შენი გარდაცვალების შესახებ ამ პატარა გამოსამშვიდობებლის ფურცელზე გადატანა, ვინაიდან ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებთ შენს სიკვდილს. გემშვიდობებით, ჩემო ამურ, ჩემო ძმაო, თბილი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

*შენი ძმა გია*



თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, მაღალი დონის ინჟინერ-ფიზიკოსი, მრავალი საინტერესო იდეისა და წამოწყების ავტორი, შესანიშნავი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი

**გიორგი (მარლენ) ერქომაიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

ოთხშაბათი
23 მარტი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 22.57 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 20.55 **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის: **საქართველო-სანმარინო.** (პირდაპირი) 22.50 "ეპოქის ფრაგმენტი" 00.06 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**არ ვარ რაპაპორტი**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე)

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 9 სერ. 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 სერ. "**ტრანსპორტერი**" 5" 6 სერ. 02.20 მხ/ფ. "**კეთილშობილი ვენეციელი**" (კ.მორი) 04.05 ერთხელ საქართველოში

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ."**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.00 კურიერი 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთქმა**" 22.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) 9.30 Discovery- მენტალისტი კით ბარი 10.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ძვლები**" 15.30 Discovery- მენტალისტი კით ბარი 16.30 აირჩიე კაბა - მეჯვარეები 17.00 ლომბარდის დედოფლები 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.30 20.30 22.00 მხ/ფ "**ძარცვა იტალიურად**" 23.55 ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი 0.55, 2.45 URBAN STORIES 1.45,ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები "რეპრესირებული პოეზია" 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.05 დ/ფ "გზა" V 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დ/ფ "საგუშაგო კოშკი" 11.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "არჩილ ჯორჯაძე" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 ყველაზე, ყველაზე..."მაშტაბური ტექნოლოგიური კატასტროფები" 16.20 დ/ფ "უმორჩილესად გთხოვთ" 17.05 ჯვარსახოვანი გზა II ნაწ. 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 19.30 მხ/ფ "**ძახილი**" 20.40 ძილი ნებისა "მარიამი იესოს გადაარჩენს" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 ივერიის ეკლესია 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, 5.00 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30, სერ. "**ხელშეუხებელნი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**23 მარტისთვის**

აშშ დოლარი — 2.2953

ევრო — 2.5877

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3075

100 რუსული რუბლი — 3.3645

**ამინდის პროგნოზი 23 მარტისთვის**





## 23 მარტიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

**თომას კენილი**

## შინდლერის სია




„შინდლერის სია“ ავსტრიელი ფაბრიკის მფლობელის, ნაცისტური პარტიის წევრ ოსკარ შინდლერის ნამდვილი ისტორიაა, რომელმაც უდიდესი რისკისა და თანხის ფასად თავის ქარხნებში მომუშავე ათასზე მეტი გეტოელი ებრაელი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

სტივენ სპილბერგის მიერ 1993 წელს გადაღებულმა მრავალი ოსკარის მფლობელმა ფილმმა „შინდლერის სიამ“ არაადამიანურ სისტემასთან ფარულად მებრძოლი ოსკარ შინდლერი მთელ მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



**გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ**

## 25 მარტიდან

**იესო ქრისტეს შობა**

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი






**გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ**



## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

**შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით**

- 25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
- 1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
- 8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
- 15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
- 22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
- 29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




**კალეიდოსკოპი**

## მრავალშვილიანმა დედამ ნახევარი მილიონი დახარჯა, ბარბის რომ დამსგავსებოდა



ხუთი შვილის დედამ ამერიკის ქალაქ ცინცინატიდან (ოჰაიოს შტატი) ნანეტ ჰემონდმა დაახლოებით 500 ათასი დოლარი დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებზე, რათა ცნობილ თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა.

ამერიკელმა მრავალშვილიანმა დედამ ოთხი ოპერაცია გადაიტანა მკერდის გასადიდებლად და ასაწევად, ტუჩების გასადიდებლად, კბილების გასათეთრებლად. მან ასევე ჩაიტარა კოსმეტიკური პროცედურები და პერმანენტული მაკიაჟი გაიკეთა. თმახუჭუჭა შავგვრემანმა თმები გაისწორა და გაილიავა, ფრჩხილები დაიგრძელა და ყოველდღე სოლარიუმში დადის. ყველა პროცედურაზე ჰემონდი თავისი ვარდისფერი კაბრიოლეტით მიდის. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 42 წლის ქალის ყველა ოპერაციას და პროცედურას მისი მეუღლე, ბიზნესმენი დეივ ჰემონდი ანაზღაურებს.

მრავალშვილიანი დედა აქტიურად სარგებლობს სოციალური ქსელებით, სადაც საკუთარ სურათებს აქვეყნებს. ინსტაგრამში ჰემონდის გვერდს 31,3 ათასი ხელმომწერი ჰყავს.

## ავსტრალიაში გოგონებმა თუთიყუშის გადასარჩენად მატარებელი გააჩერეს

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში სამმა მოზარდმა გოგონამ მატარებლების მოძრაობა შეაჩერეს იმისთვის, რათა ერთ-ერთი მათგანის კუთვნილი თუთიყუში გადაერჩინათ.



ინციდენტი ქალაქგარეთ ჩელმერის სადგურზე მოხდა. გოგონები უკვე ჩამოდიოდნენ ბაქნიდან, როდესაც თუთიყუში პატრონს გაუფრინდა და მოძრავი შემადგენლობის წინ რელსზე დაეშვა. ერთ-ერთი გოგონა ისევ ბაქანზე ავარდა, რათა სადგურის თანამშრომლებისთვის დახმარება ეთხოვა. მათ თავის მხრივ, იმ რაიონში ყველა მატარებლის მოძრაობა შეაჩერეს, რამაც თუთიყუში გადაარჩინა.

ფრინველი მემანქანემ დაიჭირა და ის გოგონებს გადასცა. სადგურის თანამშრომლებმა მათ მადლობა გადაუხადეს იმისთვის, რომ თავად არ შეეცადნენ თუთიყუშის გადარჩენას, ვინაიდან ამას შესაძლოა ტრაგიკული შედეგი გამოეღო.

მატარებლების მოძრაობა ხუთი წუთით შეფერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

ღმერთმა შექმნა ქალი... და მას მერე მოსვენება დაკარგეს როგორც მამაკაცმა, ისე ღმერთმა!

•••

ქმარი სახლში დილას ბრუნდება ერთიანად პომადით და პუდრით მოსვრილი, ტანსაცმელზე კი წითური თმები აყრია.

ცოლი ეკითხება:

— სად დაეთრეოდი?

— საყვარელო, არ დამიჯერებ და მთელი ღამე მასხარას ვეჩხუბებოდი...

•••

პოლიციის განყოფილებაში ტელეფონი რეკავს:

— ალო, ალო! პოლიციაა?

— დიახ. რაშია ქალბატონო საქმე?

— ახლავე მობრძანდით...

— რა მოხდა?

— საყვარელთან ვწევარ და ქმარი თავს დაგვესხა...

•••

პაციენტი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, ყველანი შეშლილად მთვლიან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სოსისები მიყვარს.

— მერე რა არის მაგაში უცნაური? სოსისი მეც მიყვარს!

— მართლა? მაშინ ჩემთან წავიდეთ, ჩემ კოლექციას გაჩვენებთ.

•••

პოლიციელი დაპატიმრებულს მის უფლებებს აცნობს:

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! თქვენ გაქვთ დუმილის უფლება. რასაც იტყვით, შესაძლოა თქვენ წინააღმდეგ იქნას გამოყენებული!

— შიშველი ქალი!

— რა შიშველი ქალი?

— მინდა ჩემ წინააღმდეგ იქნას გამოყენებული!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სერხიო ბუსკეტსმა ფეხის თითი მოიტეხა



ბარსელონის საყრდენმა ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა ფეხის თითი მოიტეხა, რის გამოც ის თავის ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრებში ვერ დაეხმარება.

ბუსკეტსმა ტრავმა სწორედ ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გამოტოვებს სერხიო, თუმცა, სავარაუდოდ, ის მოედანს მალე დაუბრუნდება. ბარსელონას აპრილის დასაწყისში კლასიკო ელოდება რეალთან, ამის შემდეგ კი – ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა. ამ მატჩებში ბუსკეტსის ყოფნა აუცილებელია, რადგან ის კატალონიური გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

## ხამესმა შესაძლოა სეზონის ბოლოს რეალი დატოვოს



მადრიდის რეალის კოლუმბიელი ფორვარდი ხამეს როდრიგესი ბოლო პერიოდში ვერ აჩვენებს იმ ფეხბურთს, რომელსაც მისგან გულშემატკივარი მოელის. ამის გამო მან ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი.

ამის გამო ხამესმა თავის აგენტს დაავალა, რომ მან სხვა გუნდების წინადადებები განიხილოს, რადგან, არ არის გამორიცხული, ხამესმა მომავალ სეზონში უკვე სხვა გუნდში გააგრძელოს კარიერა.

კოლუმბიელი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი საკმაოდ მაღალია და მისი ყიდვის მსურველებს მადრიდის რეალის გამდიდრება 80 მილიონი ევროთი მოუწევთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. რომის პაპის ბრძანებულება; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 6. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 7. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ფულის ერთეული არგენტინაში; 11. უბანი ქუთაისში; 12. ოფიცრის ჩინი; 13. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 19. ძალოსნობის იარაღი; 21. სპორტის სათამაშო სახეობა; 24. ბოსტნეულის მავნებელი მწერი.

**თარაზულად**: 1. წმინდა ოქრო; 3. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 8. კუთხე საქართველოში; 9. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 14. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 17. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 20. საქონლის ჯოგი; 22. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 23. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 25. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 26. მუსლიმთა სასულიერო პირი; 27. ჯიხვების ჯოგი; 28. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი